# ლამპარი

თ ფ ი ლ ი ს ი

ხუთშაბათი, 4 (17) მაისი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

რუს.სოც.-დემოკრატიული მუშ. პარტიის სიეზდი გათავდა ფრაქციების შეერთებით და მენშევიკების რეზოლუციების მიღებით.—კადეტები ისევ მარცხნივ მოჩოჩავენ.—„პატრიოტული" პარტია სიკვდილით დასჯის დატოვებას თხოულობს.—როგორ დახვედრია სათათბიროს მთავრობა და როგორ დახვედრია პროლეტარიატი?

№ 13 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი ბ ა ზ ე თ ი. № 13



ამ წლის 19 აპრილიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ლ ა მ პ ა რ ი"

„ლამპარი" წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., წლის ბოლომდის 4 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მეგაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

**თფილისში**: რედაქციის კანტორაში—კ. თავართქილაძის სტამბასთან, ელისაბედის ქ. № 17 და პროვინციებში ჩვენს აგენტებთან: **ერევანში**—ა. შუშანიანცი, **გორში**—არჩუაძე, **სამტრედიაში**—როსტომ ბასილაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **ფოთში**—ბესარიონ ვაშაკიძე, **ქუთაისში**—ჟურნ.-გაზ. კანტორა „კოლხიდა", **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **სიღნაღში**—ზაქ. მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ხონში**—ბახტაძის წიგნისმაღაზია „რუსთაველი", **ოზურგეთში**—მოსე ტუღუში, **ჭიათურაში**—ვლად. მოსეშვილი, **თელავში**—ქეთო ზარაფიშვილისა, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე, **ზესტაფონში**—ივ. საყვარელიძე, **ჩოხატაურში**—გიორგი ქლენტი.

**აგენტებს რედაქცია ნომერს ორ კაპეიკათ უთმობს.**

## რედაქციის კანტორა იმყოფება ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 39.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ".


### კადეტები და მდაბიო ხალხის წარმომადგენლები

მეტათ საყურადღებოა სათათბიროს დებატები. ყოველმა ორატორმა, ყოველმა პარტიამ აქ ძალა-უნებურათ უნდა პირბადე აიხადოს და თავის ნამდვილ სახით ეჩვენოს ხალხს, ყველამ ძალაუნებურათ უნდა გამოხატოს ნამდვილი თავის სულის კვეთება, უნდა აშკარათ აღნიშნოს ის პოზიცია, რომელიც მას უკავია სხვადასხვა მიმართულებათა შორის.

ჯერ მხოლოდ ერთ საგანზე მოხდა სათათბიროში კამათი—ამნისტიის შესახებ, მაგრამ ამ კამათში კადეტებმა უკვე დაიწყეს თავის შესაფერ კალაპოტში ჩადგომა; ჯერ კიდევ პატარა კონფლიქტი, რომელიც კადეტებს და მდაბიო ხალხის წარმომადგენლებს შორის მოხდა ამნისტიის საკითხის გადაწყვეტაში, აშკარათ გვაჩვენებს, რა დიდია უფსკრული მდაბიო ხალხსა და კადეტებს შორის, რა სხვადასხვა თვალით უყურებენ კადეტები და მდაბიო ხალხი ერთს და იმავ საგანს.

დებატებმა ჯერ ის გამოააშკარავეს, რომ კადეტებს რევოლიუცია მიაჩნიათ ბოროტმოქმედებათ, რევოლიუციონერები დამნაშავეებათ. ამ პოლიტიკურ დამნაშავეებისათვის კადეტები, როგორც გულკეთილი ხალხი, მოითხოვენ მოწყალებას, პატივებას. ყველაზე მემარცხნე კადეტი—როდიჩევი იმ აზრისაა, რომ სათათბირომ უნდა „ხელმწიფეს ვედრებით მიმართოს", „მე არ მსურს, რომ ჩვენი სურვილი მოთხოვნის ფორმით იყოს გამოხატული"; „პატიება მონარქის პრეროგატივაა" (საკუთარი უფლებაა); „სრული მიტევება ხალხსა და ხელმწიფეს შორის ერთობას განამტკიცებს" და სხ. ერთის სიტყვით, კადეტების ლიდერის როდიჩევის აზრით, ამნისტია ნიშნავს დამნაშავეთა შეწყალებას.

სულ სხვა თვალით უყურებენ ამნისტიას მდაბიო ხალხის, მუშების და გლეხების წარმომადგენლები. ისინი სულ ყველანი ერთხმათ, როგორც ერთი კაცი, იმ აზრს ადგიან, რომ პოლიტიკურ პატიმართ არავითარი დანაშაული არ მიუძღვით, რომ ისინი ხალხის მებრძოლნი არიან, ხალხის კეთილდღეობისთვის თავდადებულნი. „მე არ მოვითხოვ მოწყალებას; მე ვამბობ: უნდა განთავისუფლდენ უდანაშაულონი",—ამბობს გლეხი ანიკინი. „მეც არ მსურს ვილაპარაკო არც მოწყალებაზე, არც სამართლიანობაზე", იმეორებს გლეხი ალადინი. „ხალხმა ჩვენ გვიბრძანა ამნისტია მოვითხოვოთ და არა წყალობა ვითხოვოთ", ამბობს მილკინი. „ომი გათავდა და ეხლა ზავის ჩამოგდება გინდათ. თუ ეგრეა, მაშ დაგვიბრუნეთ ჩვენი მძევლები" ამბობს გლეხი ოვჩინნიკოვი.

კადეტების და მდაბიო ხალხის წარმომადგენლების აზრთა სხვა და სხვაობა კიდევ უფრო ნათლათ ჩანს იქიდან, თუ როგორ უჭირავთ თავი მთავრობის წინაშე ერთსა და მეორეთ. კადეტები ყოველთვის ზომიერების მქადაგებლები ყოფილან და არიან, ისინი ყოველთვის იმ აზრის ყოფილან, რომ კანონი რაც უნდა უგვანო იყოს იგი, მაინც დაცული უნდა იყოს, რომ კანონის გადახვევა თავის დღეში არ შეიძლება, რომ მთავრობასთან კონფლიქტს უნდა ვერიდოთ, მთავრობა არ უნდა გავაჯავროთ, თავი უნდა მოვუქონოთ. ამნაირ ტაქტიკას ცოტა არ იყოს გადაუხვიეს კადეტებმა არჩევნების დროს, როდესაც ხალხის გული უნდოდათ მოეგოთ და მით თავისი წარმომადგენლები გაეყვანათ. ეხლა, რაკი დუმაში უმეტესობა ყავს, ისევ წინანდელ, უფრო შესაფერ ტაქტიკას მოუბრუნდენ. არჩევნების დროს კადეტები ცოტა არ იყოს აფუჩეჩებდენ თავის მონარქისტობას: რევოლიუციონური პარტიები მათ მონარქისტებათ თვლიდენ, რეაქციონერები კი—რესპუბლიკელებათ. დუმაში კადეტებმა აშკარათ აღიარეს თავი მონარქისტებათ; როდიჩევმა „ხალხისა და მეფის ერთობაზე" დაილაპარაკა; გრედესკული იმეორებს თ. ტრუბეცკოის მიერ წარსულ ზაფხულში წარმოთქმულ სიტყვებს და ქვეყანას არწმუნებს, „ეხლანდელი მდგომარეობა... ორიოდე კაცისთვის არის ხელსაყრელი და არა მეფისთვისო". მ. კოვალევსკის აზრით, დუმა არის „შუამავალი ხალხისა და მეფის შორის". „მეფეს და ჩვენ შორის გულწრფელი განწყობილება უნდა დავამყაროთო", ამბობს შჩეპკინი. როგორც მონარქისტები, კადეტები, რასაკვირელია, მთავრობასთან მორიგების გზას ადგანან. მთავრობასა და სათათბიროს შორის გულახდილი დამოკიდებულება უნდა დავამყაროთო", აღიარებს შჩეპკინი. უნდა ზომიერათ ვიმოქმედოთ, შეტაკებას ვერიდოთ, საქმე არ გავამწვავოთ, გაიძახიან ერთხმათ შერშენევიჩი, შჩეპკინი, როდიჩევი, კოვალევსკი და სხ.

სხვა აზრისანი არიან გლეხების და მუშების წარმომადგენლები, ისინი მთავრობასთან შერიგებას არ დაგიდევენ, იმათ კილოში ისმის შეურიგებლობა, მუქარა, ისინი ისე გაბოროტებული არიან მთავრობაზე, რომ ეტყობათ, არავითარ მორიგებაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება, რომ ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოთ იბრძვიან, სანამ ძირიან ფესვიანათ არ ამოაგდებენ ეხლანდელ წესწყობილებას. არც ერთ გლეხს, არც ერთ მუშას არ წამოსცდენია მონარქისტული სიტყვა, არც ერთს არ წამოსცდენია პირფერი სიტყვა, არც ერთს აზრათ არ ქონია მთავრობის გულის მოგება. ყველანი რევოლიუციონურ კილოთი ლაპარაკობენ, ყველანი მუქარას უთვლიან: „მე მივმართავ იმათ, ვინც უნდა იცოდენ, ვისთან აქვთ საქმე", დაიმუქრა გლეხი ალადინი და ამ მუქარამ შიშის ზარი დასცა სუსტნერვებიან კადეტებს. „ვედრების და მუქარის დროშ გაიარა, ამბობს მუშა მილკინი: „ხალხი მედგრათ მოითხოვს... იცოდეთ, თუ ვერაფერს მივაღწიეთ, უნდა წავიდეთ აქედან განზე გავდგეთ და თვით ხალხი წარდგება იმათ პირისპირ, ვინც მის მოთხოვნას არ აასრულებს". „მუშათა კლასის დამშვიდებას ვერ შესძლებთ", თუ დაუყონებლივ არ გამოაცხადეთ ამნისტიაო, აცხადებს მუშა საველიევი.

ერთის სიტყვით, ამ მოკლე დებატებიდან გამოირკვა, რომ ხალხის წარმომადგენლები და კადეტები სულ სხვა და სხვა თვალთახედვის წერტილზე დგანან. კადეტებს უფლების სუნი ეცათ და უარზე არ იქნებიან, რომ მთავრობასთან მორიგებით გაათაონ საქმე, მაგრამ ვაი იმათ ტყავს, თუ ამ მორიგებით ხალხის სურვილს გადაუხვიეს. როგორც პროლეტარიატმა, ისე გლეხობამ იმოდენა დემოკრატიული შეგნება გამოიჩინა, რომ მათ ეხლა ველარავინ მოატყუებს ლამაზ-ლამაზ ფრაზებით. ან მთავრობასთან მორიგება და ხალხთან საბოლოოთ კავშირის გაწყვეტა, ან ხალხის მხარის დაჭერა და მთავრობასთან კავშირის გაწყვეტა, ორში ერთი გზა უნდა აირჩიონ კადეტებმა.

---

## პოლიტიკური მიმოხილვა

### ლიბერალებს იმედები უცრუვდებათ.

კადეტების და ყველა ჯურის ლიბერალების ოცნება—რევოლიუცია უკვე დაცხრა და ეხლა სათათბიროს გახსნით მშვიდობიანი პარლამენტარული მუშაობა დაიწყებაო,—ეს ბრიყვული ოცნება, ეს ლიბერალური ილიუზია სულ უფრო ქარწყლდება. როგორც გუშინ ჩვენმა კორესპოდენტმა პეტერბურგიდან დეპეშით შეგვატყობია, თვით ბურჟუაზიულ პოესასაც კი სათათბიროს იმედი და მისგან ხსნა-შველის მოლოდინი თან და თან გაცრუებია. ასე იმედის გაცრუების მიზეზი უეჭველათ ის იქნება, რომ კადეტებს, ერთი მხრით, მთავრობასთან მორიგება და მასთან შეუტაკებლობა შეუძლებლათ დაუნახავს, ხოლო მეორე მხრით კი ის, რომ ხალხი საკმაოთ მტრულათ და უნდოთ უყურებს ყოყმანით მოქმედებას სათათბიროსას.

იგივე კორესპოდენტი გვაცნობებს, რომ პეტერბურგში მთავრობას მეტის-მეტათ გაუძლიერებია რეპრესიები—პულემიოტებიც უკვე გამოუტანია. მხოლოდ ფანტაზიორ კადეტებს შეეძლოთ ეოცნებათ, რომ რევოლიუციის ქარტეხილი საბოლოოთ ჩავარდა. მთავრობა გაცილებით უფრო ჭკვიანი გამოდგა: ის ოდნავაც არ დარწმუნებულა, რომ რევოლიუცია საბოლოოთ დააცხრო და კარგათ ესმის, რომ რევოლიუციის ქარტეხილი მხოლოდ დროებით მიყუჩდა და პირველ შემთხვევისთანავე კვლავ ამოვარდება, და ამოვარდება შეიძლება. გაცილებით უფრო მძლავრათ, ვინემ როდისმე დღემდე. ამ ქარტეხილის კვლავ ამოვარდნის მიზეზათ მთავრობას სრული საბუთი აქვს სათათბიროს მოწვევა და მისი მოქმედება ჩაეთვალა. ამიტომაც მან კიდეც შესაფერი ზომები მიიღო სათათბიროს შეკრებისთანავე.

### როგორ დაუხვდა სათათბიროს მთავრობა?

აი როგორ გადმოგვცემენ რუსეთის გაზეთები ამ ამბავს. 27 აპრილს დილიდანვე პეტერბურგი ძალიან ნაკლებათ მოგვაგონებდა ისეთ დედაქალაქს, რომელიც სიხარულით ეგებება სახ. სათათბიროს გახსნას. უფრო კი ის ისეთ ქალაქს მოგაგონებდათ, რომელიც მტრის დასახვედრათ ემზადება. ყველგან ყველა ქუჩაზე ჩარაზმული იყო ყოველგვარი იარაღით ჯარები და პოლიცია, ცხენოსანი და ქვეითი, ვინტოვკებით შეიარაღებული. ჯერ ისევ წინადღით, როგორც სალდათებს, ისე გოროდოვოებს დაურიგდათ თითოს 180 საომარი პატრონა. ყველა მთავარ ქუჩებზე ბევრ ეზოებში აგრეთვე ჯარები იყო დაყენებული. ქარხნებ-ფაბრიკებთან იდგენ გაძლიერებული პატრულები და გოროდოვოების რაზმები ვინტოვკებით. უნივერსიტეტის და მეცნიერებათა აკადემიის ეზოებში კაზაკები იყვენ ჩასაფრებული. კადეტთა კორპუსის შენობაში ვასილიევის კუნძულზე დაბანაკებული იყო სალდათების პოლკი. საავათმყოფოებში დილიდანვე მზადება იყო ქუჩებზე უბედურ შემთხვევების მოხდენის მოლოდინში. ტავრიდის სასახლესთან (სათათბიროს დარბაზია) და მისკენ მიმავალ ქუჩაზე ცხენოსანი და ქვეითი ჯარები იდგენ. თვითონ დარბაზში დაყენებული იყო მთელი პოლკი და ვინტოვკებით შეიარაღებული პოლიციელები. მთელი სასახლის მოედანი დაჭერილი ქონდათ ჯარებს და ჯარებითვე იყო გარშემორტყმული ყველა ახლო-მახლო ადგილები. ყველა ეს არ უკმარია მთავრობას და, თავისი ზარბაზნები რომ აღარ ყოფნია, საზღვარ-გარეთიდან გამოუწერია პულემიოტები; ეს პულემიოტები მას დაუჯგამს მდ. ნევის პირათ საზამთრო სასახლიდან გაყოლებული ნიკოლაევის ხიდამდე ერთი მხრით, და ტროიცკის ხიდამდე, მეორე მხრით (ეს პულემიოტები თურმე მინუთში 150 ჯერ ისვრის).

ასე სრული სამხედრო სამზადისით შეხვედრია მთავრობა სათათბიროს, ასე გაუმაგრებია მას სათათბიროს გახსნის დღეს თავისი ციხე—თავისი სატახტო ქალაქი. რას ნიშნავს ეს სხვას, თუ არ იმას, რომ თუმცა მთავრობა მზათ არის ბურჟუაზიასთან მოსარიგებლათ და „მშვიდობიანი" მართვა-გამგეობის დასამყარებლათ, რისთვისაც დუმას იწვევს, მაგრამ მან კარგათ იცის, რომ ხალხი, განსაკუთრებით-კი პროლეტარიატი, არ მისცემს მას რევოლიუციის ასე სამარცხვინოთ დაბოლოების ნებას და პირველ შემთხვევისათანავე იერიშს მიიტანს, როგორც მთავრობის, ისე (თუ საჭირო იქნება) სათათბიროს გასანადგურებლათ. აი რისთვის „გაუმაგრებია" მთავრობას მთელი პეტერბურგი, ყველა თავისი სასახლეები და სათათბიროს დარბაზიც!..

### როგორ მიეგება სათათბიროს პროლეტარიატი?

პეტერბურგის პროლეტარიატმა სავსებით გაამართლა მისი მხრივ მთავრობის-მიერ „საფრთხის" მოლოდინი. იმ დროს, როდესაც სათათბიროს გახსნის დღეს პეტერბურგში ყოველგვარი სავაჭრო, სამოსწავლო, საზოგადო თუ სახელმწიფო დაწესებულებანი დაკეტილი იყო,—ამ დღეს მხოლოდ ქარხნებ-ფაბრიკები იყო ღია და შიგ პროლეტარიატი მუშაობას განაგრძობდა. რამდენი არ ეხვეწენ ფაბრიკანტები თავიანთ მუშებს—ეს დღე იუქმეთო, მუშები ყურსაც არ ათხოვებდენ მათ და, თუმცა იმ დღეს „გუდოკი" არც ერთ ქარხანა-ფაბრიკაში არ ყოფილა, მაგრამ მუშებმა მაინც აავსეს ყველა ქარხანა-ფაბრიკები. მუშები ასე, რასაკვირელია, სათათბიროსადმი თავიანთი უნდობლობის გამოსახატავათ მოიქცენ, თორემ ამ დღეს მაინც და მაინც არც მათ შეუწუხებიათ თავი მუშაობით. ისინი ქარხნებ-ზავოდებში უმთავრესათ სულ სხვა მიზნით იყრიდენ თავს. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ფაბრიკა-ზავოდებთან და მათ ეზოებში აუარებელი მუშა-ხალხი იკრიბებოდა, ცხარე სიტყვები გაისმოდა ამ კრებებზე დუმის გახსნის გამო, მუშები სრულიად გულგრილათ ეგებებიან დღევანდელ დღეს, დუმას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. დაუკვირვებელ ადამიანსაც კი მათ შორის ნათლათ ედგა თვალწინ, რომ მათ დღევანდელ დღესასწაულთან არაფერი საერთო არა აქვთ და მასში თავისთვის ვერავითარ ადგილს ვერ პოულობს. კრებებზე მუშები ამბობდენ, ჯერჯერობით თავდაჭერილათ ვიყოთ და მოთმინება მოვიკრიბოთ, მოვიცადოთ, ვნახოთ რა იქნებაო. „ჩვენო, ამბობდენ მუშა-ორატორები, დუმაში წარმომადგენლები არა გვყავს, და ჩვენ დუმისაგან არაფერ სახეიროს არ უნდა მოველოდეთ. დეე, დღევანდელი დღე იმათ იდღესასწაულონ, ვისაც დუმა სწამს; მუშებისათვის კი დღესასწაული მაშინ გათენდება, როცა დუმა საყოველთაო, თანასწორი და სხ. კენჭის ყრით იქნება მოწვეულიო. ამხანაგებო, წავიდ-წამოვიდეთ თავ-თავის ქარხნებში და ნუ გავიხდით ჩვენს ხალათს, ჩვენი ოფლით და სისხლის გაჟღენთილს. ერთ ადგილას მუშათა მატინგმა 3 საათი გასტანა; ორ საათზე კრებას ახალ-ახალი მუშები მიემატენ ბალტიის ზავოდიდან დაეს აუარებელი ხალხი ხმა-მაღალი და ხშირი ყვირილით „ძირს, ძირს" გაემართა დიდ პროსპექტზე რევოლიუციონური სიმღერების მღერით. წითელი დროშა არ ქონიათ, მაგრამ პროცესიას წინ მიუძღოდა მუშა, თავით-ფეხამდე წითლათ ჩაცმული. კაზაკები დაფაცურდენ, მაგრამ გვიანღა იყო.

### როგორ იდღესასწაულა პროლეტარიატმა პირველი მაისი?

თუ პეტერბურგის პროლეტარიატმა სათათბიროს გახსნის დღე თავის დღესასწაულათ არ მიიჩნია და მასში მონაწილეობა არ მიიღო, ხაზეინების ხვეწნა-მუდარა—ნუ იმუშავებთო—არ შეიწყნარა და მუშაობით წელ გაწყვეტილმა არ ისარგებლა შემთხვევით ერთი დღე დაესვენებია, სამაგიეროთ მეხუთე დღეს მეტათ დიდებულათ უდღესასწაულია მას **თავისი საკუთარი დღესასწაული**—პირველი მაისი. ჩვენი პეტერბურგელი კორესპოდენტი დეპეშით გვაუწყებს—ასე საუცხოვოთ პირველ მაისობას არასოდეს არ ჩაუვლია, მთელი პეტერბურგის პროლეტარიატი, როგორც ერთი კაცი, ისე გაიფიცა. სწორეთ ამ დღეს დუმას მოქმედება ველარ მოუხერხებია, პეტერბურგის ქუჩები მთლათ ჯარით აუვსიათ და პულემიოტებით შეუიარაღებიათ. დუმა სასტიკათ დაუცვიათ. აშკარაა, მთავრობას და მის დუმას უკვე დიდი საფრთხე მიდგომიათ. ცახცახებს მთავრობა, ცახცახებენ კადეტები! ვნახოთ, რა ბედი ეწევა მათს ერთმანეთთან ვაჭრობას, მათი მორიგების პოლიტიკას! კადეტები უკვე სულ სხვა გუნებაზე დამდგარან, მთავრობასთან შერიგების მადა დაკარგვიათ და შესაფერი პასუხი გაუმზადებიათ სეფე-სიტყვაზე (იხილე დღევანდელი დეპეშები).

---

## ახალი ამბები

✦ ჩვენ ამბავი მოგვივიდა, რომ რ. ს.-დემოკრატიულ მ. პარტიის **სიეზდი უკვე გათავდა** (25 აპრილს). სიეზდს მიუღია ყველა „მენშევიკური რეზოლიუციები". ფრაქციებს შორის არავითარი გამწვავებული შეტაკება არ მომხდარა და რასკოლი თავიდან აუშორებიათ, მომხდარა სრული შეერთება.

✦ „ქალთა უფლებრივ გათანასწორების კავშირის" ცენტრალურ კომიტეტიდან თფილისში შემდეგი **პეტიცია მოვიდა**, რომელსაც ამ ჟამათ თფილისის ქალები აწერენ ხელს: „ჩვენ, რუსეთის ქალები კატეგორიულათ ვუცხადებთ წარმომადგენელთა პირველ კრებას ძირითად კანონების განხილვის დროს მხედველობაში მიღებულ იქნენ ქალებიც და მიენიჭოთ ამ უკანასკნელთ კაცებთან ერთათ თანასწორი უფლება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულ მეტია თქვენთვის იმის მტკიცება, თუ რამდენათ სამართლიანია ჩვენი მოთხოვნილება. მართალია ყველა ჩვენგანი ყოველივე უფლებას მოკლებული იყო დღემდე, მაგრამ უმეტესათ ჩვენ, ქალები. ჩვენ თქვენი ამხანაგები ვიყავით ქირში და ლხინშიაც, ჩვენც თქვენსავით მონაწილეობას ვიღებდით განმათავისუფლებელ ბრძოლაში, უშიშრათ, შეუპოვრათ ვეგებებოდით ციხეებს, კატორგას და თვით სიკვდილს. ჩვენ თანამოზიარენი უნდა ვიყვეთ იმ თავისუფალ ცხოვრებაშიაც, რომლის დასამყარებლათ ჩვენ გავიმეტეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო. მიუხედავათ დამახინჯებულ საარჩევნო კანონებისა, მიუხედავათ მთავრობის ბევრნაირ თვალთმაქცობისა, დუმა მაინც დემოკრატიული გამოდგა. ხოლო ნამდვილი დემოკრატიული ის მაშინ იქნება, როცა საყოველთაო საარჩევნო უფლებას მოითხოვს და დააკანონებს კიდეც. ვათავებთ იმით, რითაც დავიწყეთ: ჩვენ ვთხოულობთ სახელმწიფო სათათბიროს წინაშე, რომ ქალებსაც კაცებთან თანასწორი პოლიტიკური უფლება მიეცეს".

✦ **„მშაკის" რედაქციამ ორი დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს** თავმჯდომარე მურომცევს, რომლებშიაც ულო-

ცავს სათათბიროს გახსნას და სთხოვს ნება დართოს „მშაკის“ კორესპონდენტს სათათბიროს კრებებს დაესწროს.

✦ გუშინ-წინ, 2 მაისს საღამოს 9 საათზე მიხეილის ქუჩაზე **ტრამვაის ვაგონ ქვეშ ბავშვი მოყვა**, ვაგონმა ფეხები მოწყვიტა. ასეთი შემთხვევები ამ უკანასკნელ დროს მეტათ გახშირდა. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ თვით საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება, რომ ბავშვები არ ცელქობდენ და ტრამვაის ვაგონებს არ უხტებოდენ, რადგან შეუძლებელია კონდუქტორებმა მუდამ თვალყური ადევნონ მათ.

✦ 1 მაის საღამოს 10 საათზე დიდუბეში მცხოვრებს, ტრამვაის მოსამსახურე **კუსმერეკს სახლში შეუვარდა რამდენიმე უცნობი**, კუსმერეკის ცოლი შეკრეს და იატაკზე დასვეს, ფულათ 1758 მანეთი წაიღეს და მიიმალენ.

✦ 1 მაისს საღამოს 11 საათზე ნაძალადევში, მაგისტროლის ქუჩაზე **დაიწვა ალექსი მილოძის სახლი**, რომელიც დაზღვეული არ ყოფილა. ზარალი 2000 მანეთამდეა.

✦ 1 მაისს, დღის 12 საათზე, მაშადი-გასან-აბასოვმა და კასულ-იბრაგიმ-ოღლიმ საიჯარადრო ფული 1638 მანეთი აიღეს ხაზინიდან და ვაგზლისკენ გაემართენ. ვაგზლის ქუჩაზე ამათ 5—6 **უცნობი დასცემია**, რომლებმაც მიწაზე დასცეს თურმე ისინი, ფულები წაართვეს და სხვა და სხვა მხრით მიიმალენ. გამოძიებამ აღმოაჩინა, თითქოს ერთი უცნობთაგანი მახლობლათ რამიშვილის ტრაქტირში შევარდნილიყოს იქ რევოლვერი დაეგდოს და ანდრეევის ქუჩით მიმალულიყოს, მზარეული ილიკო კოჩარელი უარს ამბობს ამაზე. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით რამიშვილის ტრაქტირი თფილისში სამხედრო წესების მოხსნამდე დაიკეტა. მზარეული კოჩარელი შეიპყრეს.

✦ 27 აპრილს სოხუმის ციხიდან გაანთავისუფლეს 16 **პოლიტიკური ტუსაღი**: პ. შალლაკელიძე, რ. ხითაროვი, ერ. გეგენავა, იასონ გოგიბერია, იაგორ დიკალენკო, იოსებ მედვედოვი, ხარიტონ ზავადსკი, დ. კუჩულარია, ვლად. გოგრიჩიძე და სხ.

✦ მოსკოვიდან თფილისის **პატრიოტულ პარტიას** დეპეშა მოუვიდა საჩქაროთ სთხოვეთ ხელმწიფეს, რომ არ მოსპოს სიკვდილით დასჯა და არ გამოსცეს ამნისტია. ხელს აწერს მოსკოვის პატრიოტული კავშირი.

✦ თფილისის ქალაქის გამგეობასთან არსებულ საარჩევნო კომისიამ **დაამტკიცა** ქალაქის გამგეობის მიერ წარმოდგენილი სია თფილისის სამაზრო ამრჩევლებისა, რადგან სიები წესიერათ შედგენილია, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ სიების შესახებ გამგეობას არავითარი საჩივარი არ შემოსვლია.

✦ თფილისის საზოგადო საკრებულომ თფილისის ქალაქის გამგეობას **უარი შემოუთვალა** 10 და 11 მაისს საარჩევნო კრებებისთვის შენობის დათმობაზე.

✦ აბაშიდან გვატყობინებენ, რომ **გლეხები გაფიცულან** და მემამულეებისთვის მოთხოვნილებები წარუდგენიათ. გლეხები მიწების დამუშავებაზე სამეხუთედ-მეოთხედ ნაწილათ თანხმდებიან. ამ ბოლო დროს იქ ისე გამწვავებულა საქმე, რომ შესაძლოა მემამულეებთან საქმე გლეხებისგან ბოიკოტის გამოცხადებით გათავდეს, რადგან არც ერთი მხარე არ აპირობს თურმე დათმობას. ასეთივე ამბავი ყოფილა თითქმის მთელ სენაკის მაზრაში.

✦ იქიდანვე გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში მარტვილში მოუკლავთ ყაჩაღი ხაჟომია, ხოლო მისი ამხანაგი წოწორია, რომელიც ამას წინეთ ციხიდან გამოაპარეს, შეიარაღებული განაგრძობს თურმე ამხანაგის ნაანდერძევ საქმეს.

✦ 1 მაისს რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში მეცადინეობა არ ყოფილა. მოსწავლეები მეცადინეობის დაწყების წინ ჩვეულებრივ შეიკრიბენ, ერთმა მოწაფეთაგანმა ახსნა პირველ მაისის მნიშვნელობა, როგორც პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულისა.

✦ 17 აპრილს რამდენიმე შეიარაღებულმა ბოროტ-განმზრახველებმა **გატეხეს ფოცხვის** (სამეგრელოშია) **ეკლესია** და ხეთის ლარჩვის ეკლესია. ბოროტ-განმზრახველთ საეკლესიო ფული ბლომათ წაუღიათ.

✦ ქართლ-კახეთის სინოდალურმა კანტორამ მიიღო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზისაგან ცნობა, რომ 7 აპრილს სადიშისა და კორცხელის საბლაღოჩინოების მღვდლები შეკრებილან დ. ზუგდიდში და დაუდგენია **დრამის მოკრება** ითხოვონ ვისთანაც ჯერ არს, რადგან სამღვდელოების მდგომარეობა ნივთიერათ მეტის-მეტათ უნუგეშოაო. სამღვდელოება აცხადებს დარიბებისაგან არაფერს ავიღებთ, ხოლო ბევრია ისეთი, ვინც ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაში არიან და სამღვდელოების სასარგებლოთ არაფერს არ იხდიანო.

✦ 1 მაისს, ელისაბედის ქუჩაზე, ფირუზ ევთროვის მაღაზიაში ვიღაც უცნობმა ტყვიით დასჭრა ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპოს მუშა ალექსანდრე ლელაშვილი და გიორგი თათუზოვი, რომელნიც დუქანში ღვინოს სვამდენ. დაჭრილები მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს, ხოლო ევთროვის დუქანი თფილისში სამხედრო წესების მოხსნამდე დახურეს.

✦ იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“-ს პირველი გამოცემა სულ გაიყიდა და ახლო მომავალში შესწორებული და შევსებული მეორეთ გამოიცემა.

✦ ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტიდან „სასულიერო მოამბის“ რედაქციამ გამოსაქვეყნებლათ ქაღალდი მიიღო, სადაც სხვათა შორის სწერია თუ რა უფლებას აძლევს უნივერსიტეტის საბჭო დღემდე „უუფლებო“ სემინარიელებს: 1) ვისაც უნივერსიტეტში შესვლა სურს უსათუოდ ნიშანი უნდა ქონდეს, რომელიმე ახალ ენაში, თუ არა და პირობა უნდა დასდოს, რომ უნივერსიტეტში შესვლის შემდეგ დაიჭერს ეგზამენს, 2) იურიდიულ ფაკულტეტზე ყველა სემინარიელებს იღებენ, როგორც კურს-დამთავრებულებს ისე მეხუთე კლასში გადასულებს, 3) ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ღებულობენ, როგორც კურს-დამთავრებულებს ისე მეხუთე კლასში გადასულებს, მხოლოთ სიტყვიერების თეორიაში, რუსულ ლიტერატურაში, ბერძნულსა და ლათინურ ენებში, საზოგადოსა და რუსულ ისტორიაში ნიშანი ოთხი უნდა ქონდეთ, თუ არა და გამოსაცდელი ეგზამენი დაენიშნებათ, 4) ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე იღებენ სემინარიაში კურს-დამთავრებულთ მათემატიკისა და გეოგრაფიაში გამოსაცდელ ეგზამენის დანიშვნით, ხოლო მეხუთე კლასში გადასულთ რუსულ ლიტერატურასა, მათემატიკასა და გეოგრაფიაში გამოცდით, 5) საექიმო ფაკულტეტზე ღებულობენ ყველას, მხოლოთ მათემატიკაში დამატებითი გამოცდით.

## სათათბიროს არჩევნები

— 30 აპრილს გორის მაზრის გლეხთა რწმუნებულების კრება დასრულდა. უნდა აერჩიათ სამი რწმუნებული საგუბერნიო კრებაზე დასასწრებათ. აირჩიეს: ვანო შაყულაშვილი (კათიხეველი გლეხი), ანანია ხატისკაცი (მასწავლებელი) და თეიმურაზ ხარებოვი (ოსი)—სამივე სოციალდემოკრატებია. გორის ამრჩეველთა სიები შედგენილია. ჩაწერილია ათას შვიდასამდი კაცი. არჩევნები ხუთ მაისს მოხდება.

**ბათუმი**. არჩევნები 7 მაისისთვის არის დანიშნული. სხვა და სხვა პარტიები ეხლავე შეუდგენ საარჩევნო აგიტაციას. სოციალდემოკრატებმა ოთხი კანდიდატი წამოაყენეს.

**ქ. დუშეთი**. 30 აპრილს დანიშნული იყო გლეხთა რწმუნებულების ამომრჩეველთა კრება, რომელთაც უნდა ამოერჩიათ საგუბერნიო არჩევნებისათვის ორი რწმუნებული. დილით თერთმეტნახევარ საათზე გაიხსნა კრება მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ყაზიბეგის თავმჯდომარეობით. დაესწრო 25 ამომრჩეველი. ყუთები დაუდგეს შემდეგ პირთ: თევდორე კობაიძეს, ივანე ურჯუკაშვილს და არზუმანოვს. ამ სამში პირველმა—თევდორე კობაიძემ (მთიულეთიდან) მიიღო 23 თეთრი და 2 შავი; ივანე ურჯუკაშვილმა (ქსნის ხეობიდან) 22 თეთრი და 3 შავი, ხოლო მესამემ—არზუმანოვმა—22 შავი და 3 თეთრი. ამგვარათ არჩეულ იქნენ პირველი ორი, ორივე სოციალდემოკრატები, რომელნიც დაესწრებიან საგუბერნიო არჩევნებს.

აქ არ შემიძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციო ერთ ფაქტს: არჩევნების დღეს დილის 9 საათზე ქ. დუშეთში ამობრძანდა ჩვენი ცნობილი დეკანოზი, მცხეთის არჩევნებში სახელ-განთქმული, მასწავლებელი თფილისის რკინის გზის სასწავლებლისა ბ. სოლომონ ლაშაური. ამის ამოსვლა და ერთი ალიაქოთის ატეხა არჩევნების დარბაზში და გარეთ გლეხებ შორის ერთი იყო. შექნა ვაი უშველებელი: „არიქა ვინა ხართ ქრისტიანი კაცი, არ დაგვღუპოთ, ნუ ამოირჩევთ მაგათ! მაგათ ვინ, სად იცნობს? ვინ იცის, რომ ეგენი ღირსნი არიან? ამოირჩიეთ განათლებულნი! (ესე იგი ჩინ-აპელატოსანი „დვადცატნიკები“, როგორც თვითონ ბრძანდება) გაჰკიოდა ბ. ლაშაური, მაგრამ ვერაფერი გააწყო: გლეხებმა თავისავით „უეცრები“ აირჩიეს და ბ. ლაშაური არამც თუ ცალკე ყუთს, კენჭსაც კი ვერ ეღირსა და პირში ჩალაგამოვლებული გაბრუნდა.

**ს. ატოცი**. 23 აპრილს აქ ათისთავების კრება მოხდა სამაზრო კრებისთვის რწმუნებულების ასარჩევათ. აქაურმა ჯალათებმა ბევრი ეცადეს, რომ ხალხს მთავრობის მომხრეები აერჩია, მაგრამ ვერას გახდენ. სამი ამრჩეველი უნდა აერჩიათ და სამივე სოციალდემოკრატები მოყვენ—გიორგი სალამატინი, ვასო ცაბაძე და გიორგი გოძარელი. კნიაზ კოსტა ამირაჯიბს ეს, რასაკვირველია, არ მოეწონა და გლეხებს დაემუქრა: თქვენი არჩეული კაცები თუ არ ამოგიშლიათ სიიდან, ეგ თქვენი ბრალი, ეგზეკუცია მოვა და აგაოხრებსო. მუქარამ გასჭრა და გლეხებმა ვასო ცაბაძე და სალამატინი სიიდან ამოშლევინეს მამასახლისს და სხვა, „უპარტიო“ გლეხები ჩააწერინეს მათ მაგიერ. ამ ფაქტს განმარტება აღარ სჭირია. გლეხებმა გადასწყვიტეს პროტესტი განაცხადონ გორის სამაზრო კრებაზე. ვნახოთ რა იქნება!*)

## პროვინცია.

**ველისციხე** (სიღნაღის მაზრა). როცა რევოლუციის ცეცხლი სოფლებსაც მოედო, საუკუნეობით ამღვრეული ცხოვრება ძირიანათ შეინძრა და მიწაზე თავმოხრილ გლეხს თავი მაღლა აეღებია. როცა მთელი რუსეთის გლეხობა გამოვიდა რევოლუციის გზაზე და ქალაქის მუშას გვერდში ამოუდგა, ძმურათ ხელი გაუწოდა მას და თამამათ გავა ქვეყანა სისხლის სადგრელათ, ველისციხელი გლეხობაც გამოფხიზლდა, თავი მაღლა აიღო და ცხოვრებას პირდაპირ შეხედა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აქ იმართებოდა კრებები, მიტინგები და გლეხები თავისუფლათ ბჭობდენ თავიანთ ჭირვარამზე, ბჭობდენ რა საშუალება გამოენახათ ისეთი, რომ თავი დაეხწიათ საშინელ ტანჯვა-წვალებისაგან. ხალხი თამამათ იყო, ეგონა თავი ბატონი ეგონა, არავის ეგონა, თუ რეაქცია ასე მაგრათ ჩაუკიდებდა მათ თავის კლანჭებს. დიდხანს თუ არა მაინც დღეები, თავი წამოუყეს ხულიგნებმა. მათ იმედი გაუღვივდათ გულში, მთავრობა გამაგრდა ცეცხლით და მახვილით. შეუდგა ხალხის განადგურებას და მათი ბედნიერების დღეც დადგა. პირველი ჯგუფი ხულიგან-პროვოკატორებისა დარჩა ისაკოვმა შეადგინა. ამ ჯგუფის ბელადებია: ნასყიდ ხატიაშვილი, ნასყიდ გასიღოვი, გაბრო გარსევანიძე და ლევან და ზაალ შალიკაშვილები. ეს ხულიგანთა ჯგუფი ძლიერ წაათამამა რეაქციამ და უგულოთ დონინსკის მამართეს ხალხის დასაფრთხობათ. ჭერ ხელი მიყკეს პროპაგანდისტ-აგიტატორების ჭერას და თუ კი ხელში ჩაუვარდებოდათ ხელათ პოლიციაში მიყავდათ გაპარული. თუ კი სადმე ხალხის კრებას შეამჩნევდენ ჩაერეოდენ და თუ სიტყვა არ სწონდა მუშტი-კრივით მოეგებოდენ ხალხის დაშლას. ხალხის დასაფრთხობათ დღეისის შემოსვლას ხმებიც კი დაყარეს, მაგრამ ამათ, არც მთავრობამ დაუჯერა და არც ხალხმა. ერთ დღეს არტემ ჯანჯღაბეხოვის დუქანში თავი მოუყარა რამდენიმე გლეხს და დღევანდელ მდგომარეობაზე ჩამოუგდო ლაპარაკი. სხვათა შორის ერთი გლეხი ამბობდა, რომ რევოლუციას და ჯანყებს თვით მთავრობა იწვევს, თვით მთავრობა ამხედრებს ხალხს თავის წინააღმდეგო. ეგეთმა და კიდევ გადასახადებს და სხვა ასეს დაეძებენ გაუწყრენ ზურგზეო. ამ ლაპარაკს შემთხვევით ხულიგანთა ჯგუფის წევრი ხატიაშვილი შეესწრო, ბინძურმა გულმა აღარ მოუთმინა, მივარდა საწყალ გლეხს, დარტყმა და თავი გაუტეხა და თან გაბრაზებით დაუძახა: „თქვე ასეთ ისეთებო! თუ კიდევ გაგიგონოთ მთავრობაზე ლაპარაკი სულყველას თავებს დაგაცრემებთო“. თავი აიღეს ველისციხის ხულიგნებმა, მთავრობის სასტიკმა, რეპრესიებმა მათ იმედი ჩაუღვივეს გულში ძველი ბედნიერი დროს დაბრუნებისა, მაგრა ამათთ. ველისციხის ხულიგნებო, ფრთხილად, ნუ გაგიტყდებათ დროებითი გამარჯვება, კარგათ შეხედეთ, აზვირთებული ხალხი მოდის და თქვენც სხვა ბნელ ძალებთან ერთათ სამუდამოთ წაგლეკავთ.

არუთინაშვილი

—

**სოფ. ჯურუყვეთი** (გურია). „კუზიანს სამარე გაასწორებსო“ ნათქვამია და ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია ზოგიერთ ეგრედ წოდებულ ჩვენებურ „ხუნხუზებზე“. ესენი ბრძანდებიან ის ზნედაცემული ელემენტები, რომლებიც არც მტერს არგებენ და არც მოყვარეს. ისინი ჯერ პოლიციას ემალებოდენ და, როცა ხალხმა ათათონ იგდო საკუთარი საქმეების ბატონ-პატრონობა, „ხუნხუზებმაც“ „ერთობას“ შემოაფარეს თავი და დაირქვეს „ტერორისტების“ სახელი. როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთი მათგანი მაინც ბოროტათ სარგებლობდენ ამ სახელით. რა კი ხალხმა დაინახა მათი მავნე მოქმედება, წინადადება მისცა: ეხლავე აიყარეთ იარაღი, გასწორდით და მიგიღებთ ჩვენ ამხანაგობაშიო. ბევრმა ღირსეულათ დაიფასა ხალხის სამართლიანი გაფრთხილება: აიყარა იარაღი, ძველი დასამსხვრეული მოქმედება ითხოვა და შორობა დასდვა—გასწორდებითო. ზოგიერთები კი ისევ განაგრძობდენ ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ, „ერთობის სახელით. ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა და, რადგან ამათი გასწორების იმედი აღარ იყო, სასტიკათ დასაჯა ზოგიერთები. ამას შემდეგ თითქმის მაისით ხუნხუზების თავგამოდებული თარეშობა. მაგრამ დღეს, როცა რეაქცია მძვინვარებს, ძველმა, ვითომ გასწორებულმა ხუნხუზებმაც წამოყვეს თავი და ბოროტ-მოქმედებენ. მთავრობაც ხომ ასეთ მოზნეებს სანთლით ეძებს, რომ იქ, სადაც რამე ამბავი მოხდება, იქ ცეცხლითა და მახვილით შეუდგეს და „ღირსეულათ დასაჯოს“.

დიდ შაბათს, ს. ჯურუყვეთში გაძარცვეს აღგილობრივი მამასახლისი ურუშაძე, წაართვეს 210 მანეთი ამავე სოფლიდან მოკრეფილი ფუ-

*) როგორც გავიგეთ, პროტესტი უყურადღებოთ დაუტოვებია თავმჯდომარეს.

# ფელეტონი

## პოლიტიკური პროსტიტუცია

(„შრომის“ კორესპონდენტს ქუთაისის არჩევნების შესახებ)

საარჩევნო ბრძოლამ აუწერელი გარყვნილება, მლიქვნელობა და ყოველგვარი ზნედაცემულობა გამოააშკარავა სხვა და სხვა ბურჟუაზიულ პარტიების; და ამ გარყვნილების სარკეთ შეიქნა ჩვენი ბურჟუაზიული პრესა.

როგორც დამახასიათებელი ნიმუში ავილოთ „შრომის“ № 21-ში მოთავსებული კორესპონდენცია ქუთაისიდან, რომლის მიზანია ტალახი მოსცხოს სოციალდემოკრატიას და გუნდრუკი უკმიოს სხვა პარტიებს. თავის მიზნის მისაღწევათ კორესპონდენტი არავითარ საშუალებას არ ზოგავს, ისე გატაცნია ფედერალისტების და კადეტების ადვოკატობას, რომ მისთვის არაფერია სიცრუე, ცილისწამება.

ვალაპარაკოთ თვითონ კორესპონდენტი: „სოციალდემოკრატებმა გამოუშვეს პროკლამაცია, სადაც უტევენ კადეტებს, რომ მათი პროკლამაცია მთავრობის ნებართვით გამოუშვესო“... „ფედერალისტებს იგივე პროკლამაცია უტევენს, რომ სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ კადეტებთან შეკრულნიო“, მართლა სწერია სოციალდემოკრატების ფურცელში, რომ სოც.-ფედ. კადეტებს შეუერთდნენო? რასაკვირველია, არა, ეს მხოლოდ კორესპონდენტის გაანჩხლებული ფანტაზიის ნაყოფია: ჩვენს ფურცელში სწერია: „ამ ეგრედ წოდებულმა სოციალისტურმა პარტიამ მოლაპარაკება გამართა (ხაზს უსვამთ ჩვენ ვუსვამთ კონ.-დემ. არჩევნებში შეთანხმების შესახებ“... „ს.-ფ. კავშირს კრავდენ ისეთ პარტიასთან, როგორიც არის ქუთათური კადეტები და ისიც სოც.-დემ. წინააღმდეგ“.

ეხლა მკითხველო შენ თვითონ უწოდე სახელი იმ „ჟურნალისტს“, რომელიც ასე განზრახ ამახინჯებს სხვის ნაწერს, რომ ჩირქი მოსცხოს მთელ პარტიას: გამოატყვრინა რა ასეთი სიცრუე, კორესპონდენტი უსირცხვილოთ აღშფოთებით განაგრძობს: „როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი საქციელი და ხალხის მოტყუილება“... „არავითარი საარჩევნო შეთანხმება კადეტებსა და ფედერალისტებს შორის არ მომხდარა და ვგონებ არც უნდა მომხდარიყო“, ბატონო კორესპონდენტო, სიტყვას ბანზე რათ აგდებთ, რას ებრძვით ქარის წისქვილებს? სოც.-დემ. გამოამჟღავნეს ის ფაქტი, რომ ორი დღის განმავლობაში ფედერალისტებს და კადეტებს მოლაპარაკება ქონდათ საარჩევნო ბლოკზე. თქვენ კი ამბობთ, რომ შედეგი არ მოყოლიაო. სამში ერთი, ან სოც.-დემოკრატები სცრუობენ თავის ფურცელში, ან კორესპონდენტი სცრუობს, ან კორესპონდენტმა არ იცის ნამდვილი ამბავი პარტიის, ე. ი. პარტიის გარეშე მყოფი პირია და სწერს როგორც დაქირავებული აგენტი ამა თუ იმ პარტიის და ულმობელ პასუხის მგებლობას თავის თავზე ღებულობს. აბა განვიხილოთ. სოციალდემოკრატები თავის ფურცელში ამჟღავნებენ იმ ფაქტს, რომ ფედერალისტებმა კადეტებთან მოლაპარაკება გამართეს არჩევნებში შეთანხმების შესახებ. ჩვენ ამას ვამტკიცებთ. ჩვენ ვლაპარაკობთ 1), რომ ფედერალისტებმა პირველმა მისცეს წინადადება კადეტებს საარჩევნო ბლოკის, 2), რომ 17 და 18 აპრილს ფედერალისტებს ერთი თავისი წარმომადგენლის საშუალებით მოლაპარაკება ქონდა გამართული კადეტების ბიუროსთან შეთანხმების შესახებ; 3), რომ კადეტებმა მეტი სასტიკი პირობები დაუდევს და ამნაირათ არ მიიღეს ფედერალისტების წინადადება. ასეთია საქმის ვითარება. ეს გამოვამჟღავნეთ ჩვენს ფურცლებში და ფედერალისტებს კრინტიც არ დაუძრავთ. მხოლოდ თქვენ აბლაკატობთ, ბ-ნო კორესპონდენტო მათ მაგიერათ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ აბლაკატობა საძაგელი ხელობაა, როცა თქვენი კლიენტი თავიდან ფეხებამდე ჩაფლულია დანაშაულის მორევში, როცა მის დანაშაულობაზე ქვანიც კი ღაღადებენ, როცა მას გასაქანი კუდი არა აქვს. სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია ამ საქმეში თქვენი კლიენტი სოც.-ფედ. პარტია, და ის თქვენზე უფრო ქკვიანათ სდუმს და გულში უთუოთ წყევლის და კრულავს 17 და 18 აპრილს. ჩვენ, ბ-ნო კორესპონდენტო, უფრო დაწვრილებით საბუთებს წარმოვუდგენთ თუ კი სოც.-ფედ. პარტია სამართალში გაგვიწვევს, მაშინ მზათა ვართ დაწვრილებით დაურღვეველი საბუთებით დავუმტკიცოთ, რომ ის, რაც სოც.-დემ. ფურცელში სწერია სრული სიმართლეა.

დაგვრჩა ორი შემდეგი შემთხვევა: კორესპონდენტი ან განზრახ სცრუობს, ან არ იცის რაშია საქმე, პარტიის გარეშე მყოფი პირია და მხოლოდ პარტიის დაქირავებული აგენტია. ორივე შემთხვევაში მისი ალაგი სამარცხვინო ბოძია, ორივე შემთხვევაში ის ზიზღის ღირსია, როგორც გარყვნილების შემტანი პარტიულ და პოლიტიკურ ბრძოლაში. მოიგერა რა სოციალდემოკრატების იერიში ფედერალისტების წინააღმდეგ, გაათეთრა რა ბ-ნმა აბლაკატმა თავისი კლიენტი, ის ადგება სხვა ტაქტიკას და მიაქვს იერიში სოციალდემოკრატებზე. ასეთ ტაქტიკას ქვიან „გაღმა გაღდავე, გამოღმა შეგრჩებაო“. „სოციალისტური“ „პარტიის“ წევრი—„ჟურნალისტი“ სწერს: „სოციალდემოკრატები არაფერს არ ერიდებოდენ, ისინი ჯიბიდან აცლიდენ სიას და თავისას აძლევდენ“. ბ-ნო კორესპონდენტო, ეს ხომ სიტყვაა, ფაქტები, ფაქტები! აბა ჩვენ მოვიყვანთ ასეთ ფაქტს. ფედერალისტების აგიტატორმა ბ. გ. აბ—მ, ერთს ქალს სოც.-დემოკრატების აგიტატორს მოპარა ჯიბიდან ბიულეტენები და თავისი ჩაუდვა. ქურდი ალაგზე დაიჭირა გ. კ.—მ და მრავალმა სხვამ.

კორესპონდენტი უსირცხვილოთ განაგრძობს: „სოც.-დემ. მოტყუილების გზას დაადგენ, ნამდვილ ამრჩევლების მაგიერ მათის სახელით ყალბი ამრჩევლები მიდიოდენ და ბარათს აგდებდენ, ვიდრე არ შეიტყვეს ეს ოინი და არ გააფრთხილეს“. ბ-ნო კორესპონდენტო, ფაქტები! აბა ჩვენ მოგიყვანთ:

1) მარჯანიშვილმა, რომელსაც ხმა არ ქონდა, ჩააგდო ფედერალისტების ბიულეტენი. მოწმე ი. კ—ძე და თვით კომისიის თავმჯდომარე.

2) მეეტლე რაჟდენ მიქელთაძემ, მიიტანა ნუცუბიძის მაგიერათ ფედერალისტების ბიულეტენი.

3) ნოქარმა ნიკო თოფურიამ მიიტანა ჩიქოვანის მაგივრათ ფედერალისტების ბიულეტენი.

4) ვასილ ქებაძემ მიიტანა შენგელიას მაგივრათ ფედერალისტების ბიულეტენი (იხილეთ პროტოკოლები) და სხვა მრავალი. რას ბრძანებო ახლა, ბ-ნო კორესპონდენტო? როგორი სპეტაკი ყოფილან თქვენი პარტიის, უკაცრავათ თქვენი კლიენტის აგიტატორები?

მაგრამ ეს თავხედი აბლაკატი ისე გაიტაცა სოციალდემოკრატების ლანძღვა-გინებამ, რომ ჯაშუშ-პროვოკატორის როლშიაც კი გამოიყვანა ჩვენი ამხანაგი. როგორც მკითხველმა იცის არჩევნების დროს დარბაზში ვიღაც ყმაწვილმა მყრალი სითხე დაასხა, რომ არჩევნებისათვის ხელი შეეშალა. ხალხი მზათ იყო დამნაშავე იქვე გაეგლიჯა, მაგრამ სოც.-დემოკრატებმა უშველეს და გააპარეს. ეს უტიფარი კორესპონდენტი კი სწერს, ვითომც სოციალდემოკრატს ბოქაულთან დაებეზღებინოს სიმყრალის დამქცევი. ბ-ნო კორესპონდენტო, სამარცხვინო ბოძი ერთ და ერთ თქვენგანს უნდა ხვდეს წილათ, რომელმაც ასეთი საზიზღარი საქციელი ჩაიდინა, ან თქვენ ან იმ სოციალდემოკრატს, რომელმაც ასეთი საზიზღარი საქციელი ჩაიდინა. თუ თქვენ კიდევ შეგრჩენიათ მოქალაქობრივი სიმამაცის ნატამალი, თუ მთლათ არ გაგიყიდიათ ის ამ პარტიულ ბრძოლის დროს, დაასახელეთ, რომელი არის ის სოციალდემოკრატი? ღებულობთ თუ არა პასუხისმგებლობას ამ საქმეში, და თუ არა დაასახელეთ რამოდენიმე მაინც იმ „ბევრთაგანი“, რომლებიც ამბობენ, რომ ის სოც.-დემ. პარტიის წევრიაო (თქვენი სიტყვით).

მკითხველო, უნდა იცოდე, რომ როდესაც აბლაკატი მტყუანს ამართლებს, და მართალს ამტყუნებს, მას შეიძლება იქამდის დაუბნელდეს გონება, რომ იწყებს მტკიცებას ორჯერ-ორი შვიდიაო. ასე ემართება ბ-ნ კორესპონდენტს; მაგალითად კორესპონდენტი სწერს, რომ იმ ბიულეტენებში, რომელიც დახიეს ყველაზე მეტი სოციალდემოკრატების იყო, მაგრამ ბ-ნი ზდანოვიჩის ყველას სჭარბობდაო. დიდი ფოკუსნიკი არ უნდა იყვეს დალოცვილი! თუ სოც.-დემ. მეტი იყო, ზდანოვიჩის როგორ სჭარბობდა? უნდა იცოდეს მკითხველმა, რომ ს.-დემოკრატების ბიულეტენზე ზდანოვიჩს, რასაკვირველია, ალაგი არა აქვს. სოც.-დემ. თავისი საკუთარი ბიულეტენი ქონდათ და ოთხივე თავისი კანდიდატი იყო ზედ დაწერი-

რედ წოდებული „მტრისა იარაღის წარმოებისათვის". ამის გამო მეორე დღესვე, ქრისტეს აღდგომას, ჯურუყველის საზოგადოება განცხადებაზე მოგროვდა ბოქაულის ბრძანებით. იმავე დღესვე საზოგადოებამ ხელ-მეორეთ გადაიხადა ეს ფულები. ამას გარდა სოფელს უბრძანეს მძარცველების დაჭერა და პოლიციისათვის ჩაბარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკზეკუციით ემუქრებიან. ამ ფულების მომტაცებელი, როგორც გამოირკვა, ადგილობრივი ხუნხუზი ყოფილა. საკვირველია სწორეთ ამ ემაწვილების კანონიერება, მაგრამ ნათქვამია: „ეკუზაანს სამერე გასწორებისთ".

ი. ცალიანი.

—

**სოფ. ჩიბათი** (გურია). მაიმუნზე გამიგონია, რომ გაიზრდება, ჭკუა მოაკლდებათ. ადამიანზე კი უფრო სხვა შეხედულებისა ვიყავი. მაგრამ ზოგიერთი ადამიანებიც დიდათ გვანან თურმე ხსენებულ ცხოველს ამ მხრით. ეს ჩემი შენიშვნა ზედ გამოჭრილია ჩვენ ადმინისტრაციაზე, რის შეურყეველ საბუთსაც წარმოადგენს იმის ბოლოინდელი მოთხოვნილება მუშა ხალხის ასაოხრებელ-გასანადგურებლათ ჯარი მოდის და ამისათვის „თითოეულმა საზოგადოებამ სამოც სამოცი ხარ-ურემი ნატახჯიში წაიყვანოთ, რადგანაც იქიდან პლასტუნების ბარგია ოზურგეთში წამოსადებიო". ამ განკარგულებას იძლევა ჩვენი მაზრის უფროსი და ვადა ბრძანების ასრულებისა სულ ათი საათია. ნუ დაივიწყებ მკითხველო, რომ ეხლა ხვნა-თესვაა. მაგრამ ვინაა შენს გაჭირვებას რომ უყურებს? მხოლოდ სასაცილო და თან სატირალი ის გარემოებაა, რომ ათ საათში კი არა ათ დღეშიაც არ შეუძლია აქაურებს და აგრეთვე მეზობელ საზოგადოებას ამ მოთხოვნილების შესრულება. რომელი ხარი გაივლის იმ მანძილს, როგორიც აქედან ნატანებამდეა და შემდეგ ისევ ოზურგეთში ამოვა? არა მგონია ამას ჩვენი ადმინისტრაცია განცვებ შერებოდეს და თუ ამის გარჩევაც აღარ შეუძლია, მაშინ ჩვენ რით უნდა გავარჩიოთ აღნიშნულ ცხოველებისაგან ეს პატივცემული გამგენი?

თ. მაღალაძე

—

**სოფ. ქვემოხეთი.** (გურია) 22 აპრილს ადგილობრივ მცხოვრებთ: აზნ. ბარნაბ დუდუჩავას და გ. ზაქარეიშვილს შორის უკმაყოფილება მოხდა სადგომ ადგილის გამო. დიდი ხანია იბრძვიან ამ ადგილის თაობაზე აღნიშნული პირები და არ იქნა ბოლო არ მოეღო. რეაქციის გაბატონებამდე ორივენი ავათ თუ კარგათ კმაყოფილდებოდნენ სამედიატორო სამართლის გადაწყვეტილებას. მაგრამ დღეს, ბარნაბ დუდუჩავამ უარყო ეს ამხანაგური გადაწყვეტილება და ჯავრის ამოსაყრელათ მოიწვია ჩოხატაურიდან პლასტუნები.

მართლაც ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ სოფელს მოადგა 40 პლასტუნი ადგილობრივი ბოქაულის წინამძღოლობით. უწინარეს ყოვლისა იმათ გიორგი ზაქარეიშვილის სახლს მიაშურეს და შეუდგენ ჩხრეკას. როდესაც სახლში ეული იჯერეს, მისცვივდნენ გიორგის შვილების დუქანს. ძნელია იმის აწერა თუ რას შვებოდნენ ეს თავ-აშვებული მხედრები. იმ დუქანში, რომლებშიაც ჯაშუშის სიტყვით ვინტოვკები უნდა ყოფილიყო, საჭმნი აღმოჩნდა. მოიტაცეს ოცი მანეთი ფული, ფეხსაცმელები და სხვა ნივთები.

ვინც ახლო-მახლო კაიცილდა უველას მათრახს ურტყამდნენ. გიორგი ზაქარეიშვილს მათრახით თვალი დაუჟესეს. ხარაზს, გერმანე უშვერიძეს იმდენი სცემეს, რომ ზურგზე ტყავი დაუსკდა. მაზეზი ასეთი ძალადობისა ის იყო, რომ ხარაზმა ქუდი არ მოუხადა. ყველა ამის შემდეგ ახადეს ქვევრები, რომლებშიაც ვითომ არაყი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ღვინო აღმოჩნდა. რასაკვირველია მტაცებლებმა არც ღვინო დაიწუნეს და ლაზათიანათ გაილეშნენ ღვინით დარეტიანებულებმა მიყვეს ხელი ახლო-მახლო მცხოვრებლებს და დაიტაცეს რის მოტაცებაც კი შეიძლებოდა. აქედან გაემართნენ ზემოხეთისაკენ. გზაზედ ვიღაც უცნობი კაცი სასიკვდილოთ დასწრეს. უკან დაბრუნების დროს გზაზე შემოჰყრეს კიდევ ერთი უცნობი კაცი.

თეოფანე.

—

**სოფ. სვირი.** მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირას მდებარეობს ბაგრატიონის ადგილები. ნახევარზე მეტი ამ ადგილებისა შეადგენს თითქმის საბალახოსაც უვარგის რიყეებს, რომლიდანაც ბევრს სარგებლობდენ გლეხების სისხლის მწოველი წურბელები „ბაგრატიონის მოურავები" წარსულ წლამდის, რაც შეჰხერა მაშინდელმა მოძრაობამ. მაგრამ დადგა თუ არა რეაქცია, ისინი ფეხზე წამოდგენ; გადასცეს იჯარით თავისა საბალახოები სვირის ხიდის მახლობლათ მდებარე ბატონ იაშვილს და ვახიძეს, რომლებიც დიდ გაჭირვებას აყენებენ საწყალ გლეხებს. რადგანაც სვირელების საქონლები მ საბალახოში იშვიათათ ჩადიან, ჩვენმა ვაჟბატონებმა სხვა ხერხს მიმართეს: დაამეგობრეს ზოგიერთი სვირელი „ჩეკლები" და მ თითან ერთათ გამოდიან სვირის ტყეებში, სადაც მრავალი საქონელი რჩება ღამ-ღამობით, კაი სუქან ხარებს კლავენ, შიგნეულს ბურდებში ჭყრიან და დანარჩენებს გაირეკავენ ზემოხსენებულ ადგილებში, იჭერენ და თითო ულელზე სამ მანეთს ახდევინებენ. დაკლული საქონლის ხორცს ჭიათურაში ასაღებენ. ჩემთვის საწყალი მუშა, ეძებს ხარს, რომელიც წინა დღეს საბალახოთ ტყეში დატოვა, მაგრამ ხარის მაგიერ ბურდებში შიგნეულს ნახულობს. სატირალი შესახედავია საწყალი გლეხი ცარიელი ხარით შინ დაბრუნებული.

ნუ გგონიათ ჩვენ ვაჟბატონებს, რომ ასეთი საზიზღრობა დიდხანს შერჩესთ; დადგება დრო და დაჩაგრული ხალხი ჯეროვან მსჯავრს დასდებს მათ.

შალ. სვირელი.

## ხმა ბათუმის ციხიდან

ამ ჟამათ ბათუმის ციხეში 170 ტუსაღია, ამათ შორის 16 პოლიტიკური. რაც შეეხება ტუსაღების ცხოვრებას, უნდა ვთქვა, რომ ეს ცხოვრება ფრიად უნუგეშოა. ტუსაღები დიდ გაჭირვებაში არიან. ისეთი საჭმელი ეძლევათ, რომ არა თუ ადამიანს, პირუტყვსაც არ ეჭმევა. მოგვიტანენ საჭმელს, გვეტყვიან: ეს ბორშჩია, ეს ყაურმაო, ნამდვილათ კი რაღაც ისეთი ბინძური სითხეა, რომ წუმპესაგან ვერ გაარჩევთ. კარგი მეცადინეობა გინდათ, რომ ჯამში ხორცის ნაჭერი იპოვოთ და თუ იპოვეთ, კუპრიფით შავია, რომ პირში ჩადება კი არა, ხელის შეხებაც შეგეზიზღებათ. თუ გაბედა ტუსაღმა და უკმაყოფილება განაცხადა, მაშინვე ცემითა და ტყვით „კარცერში" უკვრენ თავს. 15 მარტს ჩვენი ციხის უფროსმა „გულკეთილობა" გამოიჩინა და კერძათ ხარის თავები მოგვიტანა. მოვილაპარაკეთ და როგორც იქნა გადავწყვიტეთ გაეფიცულიყავით. ჩვენ მტკიცეთ დავადექით მოთხოვნილებას. მოვითხოვეთ საჭმლის გაუმჯობესება, კარის კალთა ზრდილობიანი მეპყრობა და სხვ. პირველი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა. დანარჩენებზე უარი გვეტყვის. ამის შემდეგ მობრძანდა პოლიცმეისტერი და ისეთი უშვერი სიტყვებით დაგვიწყო ლანძღვა-გინება, რომ იმის აქ აღნიშვნა ყოვლად შეუძლებელია. აქ მინდა კიდევ ერთი ფაქტი მოვიყვანო ციხის ზედამხედველის შესახებ, ხშირათ ციხეში აღნიშნულ ნორმაზე მეტი ტუსაღებია. მაშინ ციხის ზედამხედველი კერძს არ უმატებს, რასაც ჩამორჩება—ჯიბეში იყრის და ტუსაღები კი სიმშილით იხოცებიან. წინეთ დღეში ნახევარ საათის „სეირნობის" უფლება გვქონდა, ეხლა კი მხოლოდ ათი წუთით გვიშვებენ. რეაქციის გაძლიერებამ ყველა ბატონებათ გადაგვიქცია. პატარა ფინიები თვითმპყრობელობისა შედგებიან უკანა ფეხებზე იღრინებიან და ყეფენ ხმა მაღლა. როცა რაიმე გატყდება ციხეში, უბრალო შუშა მაგალითად, მაშინვე გვეტყვიან: თუ არ იყიდით—ჩემს ფეხებსო! და თუ სიტყვა შეუბრუნეთ, დაგიყვირებენ: „აი, თქვე „ბუნტოვშჩიკებო!" კიდევ ბედავთ რამეს? არ გაგიგიათ, რომ მოგესპოთ ბატონობა.

ციხის უფროსის მოქმედების შესახებ ერთხელ პროკურორი მოვიდა ციხეში და მოგვმართა ტუსაღებს: შვილებო, თუ რამე გაკლიათ—მითხარით და შეგისრულებთო. ჩვენც რასაკვირველია მ თხოვნილება წარუდგინეთ, მარა ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ, ასე გვიპასუხა; ამ მოთხოვნილებების შესრულება მე არ შემიძლიაო. ასე შეგვისრულა მოთხოვნა ბ-ნმა პროკურორმა მის „შვილებს"..

ტუსაღი.

—

**ქუთაისის საპყრობილე.** ქუთაისის ციხეში ამ ჟამათ ორასამდე ტუსაღი ზის. განა რომელ ციხეშია ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ ამათი გასაჭირი თითქმის წარმოუდგენელია. ყოვლათ უვარგისი საჭმელ-სასმელისაგან არა ერთი და ორი კაცი ხდება ავათ. 27 აპრილს გარდაიცვალა ტუსაღი ჩაჩიბაია, რომელსაც 10 წლის კატორგა ქონდა გადაწყვეტილი. ზედამხედველიდან დაწყებული უბრალო მოსამსახურემდე ყველანი ბატონები არიან საწყალი ტუსაღებისა. ჩამოივლიან კამერების წინ იარაღში ჩამჯდარი და ვაი მისი დღე, ვისაც აითვალწუნებენ. უწინ სეირნობის დრო საათნახევარი ჰქონიათ, მაგრამ ახლა 15 წუთითაც არ მოგასვენებენ თ. ვისუფლათ: დაგკეტლებენ კამერებში შედითო და ვინც არ შეასრულებს თოფის კონდახით გულმკერდს ჩაამტვრევენ. აქაური ციხის უფროსი დიდი ოპტიმისტი კაცია და მომავალს იმედის თვალით უღიმის. დაბალ მოსამსახურეებს, მიღების დროს ხელს აწერიებს: ორი წლის განმავლობაში სამსახურიდან არ გახვიდეთო და ისინიც სიამოვნებით უწერენ. ამ ბოლო დროს ისე გახშირდა ციხეში გაგზავნილ ტუსაღთა სიკვდილი, რომ ის ვინც სატუსაღოს კარებში შედის, თავი ბედნიერათ მიაჩნია. მაგრამ რაღა გარეთ და რაღა ციხეში სიკვდილი. დღითი-დღე მატულობს ახალ მოყვანილთა რიცხვი. უმეტესობა სამეგრელოს სოფლებიდან ჩამოყავთ. სენაკის სამაზრო ციხიდან გამოგზავნეს 7 კაცი. როდესაც მატარებელი დაიძრა, ციხის უფროსმა ი. გაგუამ მამაშვილურათ დაგვლოცა:—ცოცხალი არ მენახოთო.

იაკობ პეტრენკო

## მცირე შენიშვნა.

ამ დღეებში როგორც რუსულ ისე ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი იყო დაზარალებულთა დამხმარებელი კომიტეტის მოწოდება, რომლითაც საზოგადოებისგან დახმარებას თხოულობს—დარბეულთა და დამწვართა სასარგებლოთ... აზრი ფრიად კარგი და სიმპატიურია და როგორც საზოგადოებისა ისე ზევით ნახსენები კომიტეტის მიმართ მადლობის მეტი არა ითქმის რა...

მაგრამ ვინ არ იცის, რომ მთელი კავკასია საზოგადოთ და საქართველო კერძოთ ისეა დანიავებულ-მაჯსთან გასწორებული ამ სამ ოთხ თვეში რომ, გულითაც რომ უნდოდეთ, ვერავითარ წვლილს ვერ კამოიღებენ, რადგანაც თავისთვის რომ არა აქვთ რა, სხვას რას უწილადებენ და მაშასადამე, ხომ მოგეხსენებათ, „შინ რომ ბავშვი ტიროდეს, გარეთ ტაბლა არ გაიტანებაო".

შველა კი საჭიროა და მაშ რომელი წყაროდან უშველოთ, გვეტყვიან.

ჩვენის აზრით ერთად ერთი უტყუარი წყარო, რომელიც შესამჩნევ დახმარებასაც გაუწევს და დროზედაც მოუსწრობათ განადგურებულთ, შემდეგია:

ამ რამდენიმე წლის წინათ, უეჭველია, ფინანსიური მოსაზრებით და უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელთ ნება მიეცათ გატანათ ის ათი პროცენტი, რომელიც გლეხების ჩამორთმევის შემდეგ ბანკის დასარსებლათ დაეჭირათ თავად-აზნაურებს. ეს ფული, რომლის რაოდენობაც 600,000 მან. აღემატება, გადაეცა გუბერნიის მარშალს თავად-აზნაურთათვის უკანვე დასაბრუნებლათ; დიდმა უმრავლესობამ არ ინება ამ ფულის მიღება და დაადგინა: „მოხმარდეს რომელიმე საზოგადო სასარგებლო საქმეს". იმ ზოგიერთებმაც კი, რომელთაც მოისურვეს ფულის გატანა, ვერ გაიტანეს, რადგანაც ვერ წარადგინეს დამამტკიცებელი საბუთები: საჭირო იყო კვიტანცია, დუბლიკატია და სხ. ასე ამგვარათ რამდენიმე წელიწადი გადის და საზოგადოებამ არ იცის, რას ხმარდება ეს ფული.

თუ არ ვცდებით ამ ფულიდან 5000 მანეთამდი სტუდენტებს სტიპენდიებათ დაურიგეს ამ ორი წლის წინათ.

ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ საკმაო თანხა უნდა იყოს, რომელიც, ჩვენის აზრით დიდ სამსახურს გაუწევს დაზარალებულთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლა საუკეთესო დროა ამ ფულის მოხმარებისა. საჭიროა ამოირჩეს კომისია და დაავალოს, თუ სულ მთლათ არა, ზემოთ ნახსენები თანხის ნახევარი მაინც გუნაწილოს დამწვართა და დაბეჩავებულთ.

აი, უტყუარი, ჩქარი და შესამჩნევი დახმარება, ჩვენი აზრით.

ივ. გვარამაძე.

## იურიდიულ საზოგადოებაში

გ. თუმანოვის ლექციის გამო კამათი დასრულდა შაბათს, 29 აპრილს, და იურიდიულმა საზოგადოებამ კავკასიის ერთა და კერძოთ საქართველოს ავტონომიის შესახებ შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა.

უკანასკნელ კამათზე დაახლოვებით შემდეგი ითქვა:

გ. თ უ მ ა ნ ო ვ ი. ჩემს ლექციაში მე მხოლოდ პროექტი წარმოვადგინე კავკასიის ერთა ავტონომიების შესახებ. სხვათა შორის, კავკასიის ყველა ერებისთვის ერთი ავტონომიაც მქონდა პროექტში წამოყენებული, მაგრამ ამას მედგრათ ეწინააღმდეგება ბ-ნი გ. გვაზავა. კავკასიის ავტონომიის წინააღმდეგი ბ-ნი გვაზავა სხვათა შორის იმიტომ არის, რომ საერთო პარლამენტში ქართველები ნაკლები იქნებიანო—და მართალიცაა, სხვა ერებთან შედარებით ქართველები იქ ნაკლები იქნებიან. მაგრამ ეს არ კმარა საწინააღმდეგოთ. ქართველებს შეუძლიათ მონაწილეობა არ მიიღონ საზოგადო პარლამენტში და შინაურულათ თითონ განაგონ თავიანთი საქმეები, თუ ამას საჭიროთ დაინახავენ და მოისურვებენ. მე კი მაინც კავკასიის ავტონომიის მომხრე ვარ. ასეთივე მართვა-გამგეობაა კანადაში. კანადა რამდენიმე პროვინციათ იყოფა, რომელთაც თვითეულს თავისი საკუთარი ავტონომიური მართვა-გამგეობა აქვს. მაგრამ ამასთან არის საერთო პარლამენტიც, რომელიც ქვედა და ზედა პალატისაგან შესდგება...

კ ლ ე მ ე ნ ტ ი ე ვ ი. ბ-ნი გ. გვაზავა იცავს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას და ასეთ საავტონომიო ერთეულათ იგი თვლის იმ ტერიტორიას, რომელზედაც მცხოვრებნი ერთ ენაზე ლაპარაკობენ. მე კი მგონია, რომ შეუძლებელია რომელიმე საავტონომიო ტერიტორიის გამოყოფა, სადაც მცხოვრებნი ერთ ენაზე ლაპარაკობდენ. ავიღოთ მაგ., ქართველები: იმერლები და კახელები, მაგ. სხვა და სხვანაირათ ლაპარაკობენ...

აქ ხალხიდან ჩოჩქოლი და ხმები გაისმა: „ტყუილია! სცდებით"!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე (ნაფ. ვექ. გრუზენბერგი). ბ-ნებო, ნუ გვიშლით. ყველას უფლება უნდა ქონდეს თავისი აზრი წარმოსთქვას. იურიდიულ საზოგადოების კრება მარტო საზოგადოების წევრებისთვის იმართება, გარეშეები მხოლოდ ისე არიან მოწვეულები... ბ-ნო კლემენტიევო, გთხოვთ განაგრძოთ.

კ ლ ე მ ე ნ ტ ი ე ვ ი. კარგი... ვთქვათ მე შევცდი და საქართველოს ტერიტორიაზე ყველა ერთ

---

ლი. დახეულთა რიცხვში 270 სოც.-დემ. იყო, 70 ფედერ. და 64 კადეტების. როგორ გგონიათ, მკითხველო, 70, რომელზედაც ბ-ნი ზდანოვიჩი ეწერა მეტია 270-ზე?

„ხალხმა სოციალდემოკრატებს უმტყუნა და უმეტესათ ფედერალისტები აარჩიაო". მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ გლეხებმა უმეტესობა ფედერალისტები აირჩიაო. ასეთი შანტაჟისტობა არა თუ ბ-ნ აბლაკატმა, მისმა კლიენტმაც კი იკადრა: ს.-ფედერალისტებმა არჩევნების დღეს გამოუშვეს საარჩევნო ბიულეტენი, სადაც ქვეყანას აუწყებდენ, რომ უმეტეს ალაგს სოც.-ფედ. აარჩიესო. აბა გავიგოთ. მთლათ გუბერნიაში არჩეულია 22 ამომრჩეველ გლეხებიდან. აქედან 15 სოციალდემოკრატიის პარტიის წევრებია. ორიც თანაუგრძნობს სოციალდემოკრატიას, დარჩა ხუთი ამომრჩეველი—ყველა მამასახლისები. ჩვენ არ გეცილებით, მხოლოდ ვიცით, რომ ორი მათგანი ლეჩხუმიდან ოთარ დადეშქელიანის კანდიდატია და თუ კნიაზ ოთარი ფედერალისტია ესეც ახალი ამბავია. საყურადღებოა ერთი ფაქტი: ერთი ფედერალისტი უმტკიცებდა სოციალდემოკრატს, რომ ესა და ეს ორა ამომრჩეველი გლეხი ორივე სოც.-ფედერალისტია, ვინაიდან ორივე მამასახლისიაო. მაგრამ ვუანგარიშოთ ყველა შვიდი ამომრჩეველი ფედერალისტებს, ვინაიდან შეუძლებელია მონახო საზღვარი სად თავდება კადეტები და სად იწყება ფედერალისტები, ეს არც თვით კორესპონდენტმა იცის. მაგალითათ ცნობილი დავით ბაქრაძე (გაზეთ, რუსის საშველებით ქართველ მაზრის უფროსებს და გუბერნატორებს რომ თხოულობდა) წინ დღით, რომ კადეტათ ყავს, მეორე დღეს ფედერალისტათ ნათლავს ჩვენი კორესპონდენტი. ყოველ შემთხვევაში 15 კი უნდა ჰყავს 7-ზე მეტი ბატონო კორესპონდენტო!

რისთვის ლაპარაკობს ასეთი რიხით ბატონი კორესპონდენტი? ძაღლის თავი სხვაგან მარხია: როგორც ვიცით, ჩვენი კადეტები და ფედერალისტები ძალიან გამოჟანგული არიან ბანკობის და მარმლობის საქმეში; ისინი დიდი ოსტატები არიან საჩივრებში კასაციებში და სხვა ასეთ კანცელიარიულ და აბლაკატურ სიბრძნეში. დაწყებული ნამესტნიკის კანცელიარიიდან და გათავებული ვიდრე სოფლის კანცელიარიით, ყველა ეს პოზიციება მათ ხელშია და დიდ იმედს ამყარებენ კასაცია აპელაციებზე, მაგალითათ სენაკში, სადაც ყველა სოციალდემოკრატები იყვნენ არჩეულნი, არჩევნების ჩაშლა უკვე მოახერხეს. ახლა კორესპონდენტს წამოცდა, რომ ქუთაისშიც ასაჩივრებენ გლეხების არჩევნებსო, როგორც ვიცით, აქაც ყველა სოციალდემოკრატები არიან არჩეულები. გარდა ამისა 50 სოციალდემოკრატი რწმუნებული სხვა და სხვა ხრიკებით უკვე გამოაძევეს მემამულეთა კრებიდან და ისე სამი ამომრჩეველი დაუკარგეს სოციალდემოკრატებს. ასეთ „პოლიტიკურ" ბრძოლაში კანცელარიებით, დანოსებით, აპელაციებით, კასაციებით და სხვა ასეთის „ციებით" კალისტრატეს ლექსიკონიდან, ჩვენ ვერ შეგეცილებით; ასეთ ბრძოლაში ჩვენ „ფას", ბურთი და მოედანი თქვენთვის დაგვითმია.

როგორც მკითხველმა იცის, ბატონი კორესპონდენტი წერილის თავში კადეტებს ისე ბუნდოვანათ გამოესარჩლა ჩვენს წინააღმდეგ. შემდეგ კი გადაასხა რა ლაფი სოციალდემოკრატებს და შეასხა რა ხოტბა ფედერალისტებს, კადეტებსაც უძღვნის ორიოდე კომპლიმენტს. კორესპონდენტი ასწერს რა ქუთაისის მემამულეთა კრებას ლაპარაკობს: „კრებას თავმჯდომარეობდა ქუთაისის მაზრის წინამძღოლი თავადი დ. ო. ნიჟარაძე, რომლის გამოცდილება და უნარი თავდები იყო იმისა, რომ წესიერება არ დაირღვეოდა". ეს ის წესიერების დამცველი დავითია (კადეტი), რომელმაც თავისი კანდიდატურა რომ გაეყვანა ამ კრებაზე, შემდეგნაირათ მოაწყო საქმე: 24-ს მისი თავმჯდომარეობით მოხდა წვრილ მემამულეთა წინასწარი კრება. ხალხმა წამოაყენა თავისი კანდიდატები. თავმჯდომარემ ხალხის სურვილი ფეხებზე დაიკიდა და მან თავის დამქაშებს დაუდგა ყუთი. ხალხი მზათ იყო, რომ თავმჯდომარეს მივარდნოდა ძალმომრეობისათვის. თავმჯდომარე შეუშინდა ხალხის გულის წყრომას, მან დაუდგა 20 ყუთი ხალხის კანდიდატებს, მაგრამ 16 მაინც დატოვა თავისი. ხალხმა თავისი ოცი კანდიდატი (სოციალდემოკრატი) ყველა გაათეთრა, კნიაზის კი, გარდა სამისა, გააშავა. ამნაირათ მემამულეთა კრებაზე სოც.-დემოკრატი რწმუნებულები სჭარბობდენ ყველა პარტიას, მაგრამ დავითმა „წესიერათ" აწარმოვა საქმე: მან ჯერ-ჯერობით 22 სოციალდემოკრატი რწმუნებული გამორიცხა, ეს არ ეყო და 23 რწმუნებული სოც.-დემ. კიდევ გამორიცხა, ესეც არ ეყო, 5 რწმუნ. ს.-დემ. კიდევ გამორიცხა. მერე იცით რისთვის? თურმე ღია კენჭის ყრით აურჩევიათ ეს რწმუნებულები! მერე იცით ვინ ხელმძღვანელობდა არჩევნებს? იგივე დავით ნიჟარაძე. მერე შეიძლება გეგონოთ, რომ ეს მარტო სამტრედიის და ხონის საბოქაულოში მოხდა? არა, იგივე ღია არჩევნები იყო ბაღდადში, მაგრამ დაკანონდა. რისთვის?! ბაღდადისათვის სხვა კანონია და სამტრედიისათვის სხვა? არა, სრულიადაც არა; მაგრამ როდესაც ბაღდადიდან ხუთი რწმუნებული სოციალდემოკრატი გამორიცხეს, შემდეგ დანარჩენის უმეტესობა დავითების გახდა. აი სად მარხია ძაღლის თავი!

ამნაირათ აამუშავეს რა ჩვენმა მოწინააღმდეგე პარტიებმა აპარატი სხვა და სხვა დაწესებულების, და კანცელიარიების, როგორც დეპუტატთა კრება, სამაზრო საპოლიციო და სამხედრო უწყებები, „პრისუტსტვიები", სოფლის კანცელიარია—მწერლამდე,—შესძლეს 50 სოციალდემოკრატი რწმუნებულების გამორიცხვა. მაგრამ დავითის „წესიერების" დაცვა ყოველ საზღვარს სჭარბობს. მაგალითათ წვრილ მემამულეთა წინასწარ კრებაზე რწმუნებულათ კენჭი იყარა თავადმა ტ. ნიჟარაძემ (დავითისტმა). გლეხებმა ყორანივით გააშავეს, მაგრამ მეორე დღეს თავად ტ. ნიჟარაძეს ხმა მაინც ქონდა მემამულეთა კრებაზე. რა ფოკუსია ნეტავი, მკითხველო? ორში ერთი ან ტ. ნიჟარაძე 15 მანეთის გადამხდელია და მაშინ რათ უნდოდა რწმუნებულათ კენჭის ყრა, პირდაპირ ექნებოდა ხმა, მაგრამ კენჭი იყარა. როგორც გავს უთუოთ წვრილი მემამულეა. გლეხებმა საღამოს 6 საათზე გააშავეს კნიაზი, მაგრამ ოი, საკვირველებავ! მეორე დღეს მას ხმა მაინც აქვს მემამულეთა კრებაზე. უთუოთ კნიაზმა საღამოს 6 საათიდან მეორე დღ.ის 10 საათამდე მამული შეიძინა, ნოტარიუსით დაიმტკიცა, სახაზინო პალატიდან „ოკლადნოი ლისტიც" მოუვიდა, კნიაზ დავითს საბუთებიც წარუდგინა და ამნაირათ საქმე გაიჩარხა. მართლაც რომ, ჩვენი კორესპონდენტ-ფედერალისტის არ იყოს, დიდება და თაყვანის ცემა თავ. დ. ნიჟარაძის „უნარსა და გამოცდილებას" და მის მიერ „წესიერების დაცვას"!

სადამდის მიდიან ჩვენი მოწინააღმდეგები ჩვენ დასამარცხებლათ, ამას აშკარათ ამტკიცებს ერთი ფაქტი. „კავ. მის-" 27 აპრ. № 20 მოთავსებულია შემდეგი აღმაშფოთებელი ცილისწამება, ვითომც სოც.-დემოკრატებს დაეხიოს ბიულეტენები, რადგან ფედერალისტები გადიოდნენ. ჩვენ მივმართავთ ქუთაისის მოქალაქეებს, დეე, მათ დასდონ მსჯავრი ჩვენი მოწინააღმდეგეების ასეთ საქციელს.

—

ჩვენ უბრუნდებით „შრომის" კორესპონდენტს და შემდეგ კითხვებს ვაძლევთ.

1) სოც.-დემ. ფურცელში არ სწერია ის, რაც ჩვენ მოვიყვანეთ ამ წერილში, თუ ის, რაც თქვენ შეთხზეთ და თავზე მოახვიეთ სოციალდემოკრატებს? (ფედერალისტების და კადეტების მოლაპარაკების შესახებ).

2) იყო თუ არა მოლაპარაკება ფედერალისტებსა და კადეტებს შორის არჩევნებში შეთანხმების შესახებ?

3) გლეხებმა მართლა უმეტესობა ფედერალისტები აირჩიეს თუ არა?

4) დავით ბაქრაძე ფედერალისტია თუ არა?

5) ის ოთხი ფაქტი, რომელიც ამ წერილში მომყავს ფედერალისტების ყალბი ამომრჩევლების შესახებ მართალია თუ არა?

6) ფაქტი იმის შესახებ, რომ ფედერალისტის აგიტატორმა მოპარა სოციალდემოკრატ აგიტატორს ჯიბეში ბიულეტენი და თავისი ჩაუწყო მართალია თუ არა?

7) ღებულობთ თუ არა თქვენს თავზე პასუხის მგებლობას იმის შესახებ, რომ ერთ ჩვენ ამხანაგს ჯაშუშობაც კი დასწამეთ?

8) დაასახელეთ ის სოციალდემოკრატი, რომელმაც ბოქაულთან დააბეზღა ობსტრუქციონისტი.

9) წითლდებოდით თუ არა, როდესაც ამ კორესპონდენციას სწერდით და ან როდესაც პასუხს იძლევით ამ კითხვებზე?

უეჭველათ პასუხები ყველა ამ კითხვაზე თქვენ მზათ გქონდათ მაშინაც კი, როცა თქვენ „სახელოვან" კორესპონდენციას სწერდით და იმედია აღარ დააყოვნებთ პასუხის მოცემას.

ქუთაისელი.

[illegible] ... ჩვენ ერთათ უნდა შევეგუშინოთ და რუსეთთან საერთო მოთხოვნებს, სამიჯნალოკი მოთხოვნილებებს უნდა დავუპირისპიროთ მათ და სრულიად არ გვმართებს უბრალო დაქუცმაცება, ახლავე ლაპარაკი გამოყოფაზე, სანამ საერთო მიზნისთვის ჯერ მიგვიღწევია. ეს იმას გავს, დათვის ტყავს რომ იყოფდენ, ხოლო დათვი ჯერ არ იყო მოკლული.

ბატ. ევგ. ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი. გამოირკვა, რომ საქართველოს ავტონომიას ყველა უჭერს მხარს, ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც, ვინც აფასებს თავისუფალ ცხოვრებას, ერის თავისუფლებას. ბ-ნმა გვაზავამ ერთის მხრით მართალი სთქვა წინანდელ კრებაზე — ხალხური ადმინისტრაციისთვის აუცილებელ დასავლეთის დამკვიდრება საჭირო არაა. დასავლეთ საქართველოში თანამედროვე მიმართება მართლაც ადრე დაიწყო, ვიდრე აღმოსავლეთში... ამისათვის ჩვენ წინააღმდეგი არ უნდა ვიყოთ საქართველოს ავტონომიისა, მხოლოდ ეს კი უნდა ვთქვათ—თუ ქართველები ასეთი ბედნიერნი არიან, რატომ უნდა დაუშალონ სხვებსაც თავის ნებით მოაწყონ თავიანთი მართვა-გამგეობის საქმე. ჩვენ ვამბობთ საზოგადოთ ავტონომიაზე. თუ პრინციპიალურათ შევთანხმდებით ამა თუ იმ ეროვნებისათვის ასეთი თუ ისეთი ავტონომიის საჭიროებაზე, შემდეგ სადავო კითხვებზედაც საჭირო იქნება მსჯელობა, მაგალითად, ავტონომიის საზღვრებზე, გადასცილდება თუ არა ეს საზღვრები ქართველების ეთნიურ ტერიტორიას, აღდგენა იქნება საჭირო და სხვ. გადავდივარ სომხების ექს-ტერიტორიალურ ავტონომიაზე. თუ ასეთი ავტონომია მათ მოიპოვეს, შემდეგ სამღვდელოების ხელიდან გამოაცლიან მართვა-გამგეობის საქმეში გარევას და ხალხის საქმეებს თვითონ სომხები გაუძღვებიან; ასევე მოიქცევიან თათრებიც. სომხების უმრავლესობას არა სწამს ტერიტორიალური ავტონომია. ასევე არა სწამთ თათრებსაც. მარშან მუსულმანთა წარმომადგენლებმა პეტერბურგში პირდაპირ განაცხადეს, თათრები არავითარ ავტონომიას არ ვთხოულობთ—ნაციონალურ თვითგამორკვევის უფლებით ვკმაყოფილდებითო. ამნაირათ ტერიტორიალურ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი მხოლოდ ქართველებში არსებობს, სომხებსა და თათრებში ექს-ტერიტორიალურ და „კავკასიის ავტონომიაზე მსჯელობენ. სომხებში ცალკე საკმაოთ ძლიერი პარტიაც არის, რომელსაც კავკასიის ავტონომია სწამს. მისი პროექტი აქვს პროგრამაში შეტანილი. ეს პარტია „დაშნაკცუტიუნია“... რაც შეეხება საქართველოს ავტონომიას, იურიდიულმა საზოგადოებამ ეს საკითხი სწორეთ უნდა გადაწყვიტოს, ხოლო სხვა საკითხები გასარკვევათ ცალკე კომისიას უნდა გადასცეს.

(დასასრული იქნება).

## კადეტების ლექციები გორში.

კადეტებმა თვიანთი მადლიანი კალთა დაიბერტყეს და გორელებიც გვიანახულეს: 30 აპრილს, აქაურ კლუბში ლექციების კითხვა გამართეს. ლექციების ნებართვა ბ-ნ ნატროევს ქონდა აღებული. ლექტორებათ ბრძანდებოდენ ბ.ბ. დოლუხანოვი და სუმბათოვი (თფილისელები). ბ-ნ დოლუხანოვმა ამცნო შეკრებილ საზოგადოებას, რომ ის და მისი ამხანაგი გააცნობენ მას „ხალხის თავისუფლების“ პარტიის პროგრამას. ჩვენ ვიცოდით, რომ „ხალხის თავისუფლების“ პარტიის წარმომადგენელს თვით გენ.-გუბერნატორმა ბაუერმა დართო ლექციის გამართვის ნება და ეს მაშინ, როცა სხვა პარტიის წარმომადგენლებზე ნამდვილი ნადირობაა გამართული და ამიტომ რადაც ეჭვის თვალით ვუყურებდით ამ „ხალხის თავისუფლების“ არა მკითხე მეგობრებს. ამას გარდა ხალხშიც ხმა დადიოდა და არც თითონ ლექციის გამმართველი, ბ-ნი ნატროევი ფარავდა, რომ მას გარკვეული „ინსტრუქცია“ ქონდა მიღებული ბ-ნ ბაუერისაგან: ბიუროკრატიაზე და სხვა ასეთებზე არ ილაპარაკოთ. მალე დავრწმუნდით, თუ რაშიც იყო საქმე. პირველი ლექცია ბ-ნ დოლუხანოვისა იყო, მან ნაზი, ჯენტლმენური ხმით აუხსნა დამსწრე საზოგადოებას, თუ რას ნიშნავს საზოგადო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები დაფარული კენჭის ყრით და რახით გამოაცხადა, რომ ჩვენ ყველა ამისი მომხრე ვართო, „ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა, ასეთ არჩევნებს მხარი დავუჭიროთო, ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ რუსეთის საარჩევნო წესების გამოვო“. სხვა საინტერესო ბ-ნ დოლუხანოვს არა უთქვამს რა გარდა იმისა, რომ საფრანგეთში საყოველთაო არჩევნები სასცენით განხორციელებულია და ინგლისის საარჩევნო უფლებას ჩვენებური სჯობიათ. არ დაგვიწყდა ბ-ნ დოლუხანოვს ისიც, რომ რუსეთში თურმე მუდამ ხალხის სუვერენიტეტი (თვითმპყრობელობა) განხილა ესხდა. ბ-ნ დოლუხანოვის „მეცნიერული“ ლექცია სულ რაღაც ორ მინუტში დასრულდა, რის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, ხუთი მინუტით შევაჩეროთ კრება და შემდეგ მეორე ლექცია წავიკითხოთო. ერთმა დამსწრეთაგანმა (სოციალდემოკრატმა) წინადადება შეიტანა, ჯერ ამ ლექციების შესახებ გავმართოთ კამათი, რაზედაც ნებართვა მაქვს. დაიწყო თუ არა ლაპარაკი იმაზე თუ რა განსხვავებაა კადეტების სიტყვებსა და მოქმედებას შორის, იქ მყოფი მაზრის უფროსი ცოფიანივით წამოვარდა და განაცხადა: გ.-გუბერნატორმა თქვენ (ე. ი. კადეტებს) მოგცათ კითხვის გამართვის ნება იმ პირობით, რომ ხალხს ასწავლოთ (поучать), დამსწრეებს შეუძლიათ მხოლოდ შეეკითხონ, როცა ვერ გაიგებენო. ამაზე საზოგადოებამ გამოუცხადა ბ.ბ. კადეტებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან სიტყვის თავისუფლება დაიცვან კრებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებას არ სურს ასეთ ლექციაზე დასწრება. ამის შემდეგ ბ.ბ. კადეტებმაც პროტესტი გამოაცხადეს. კიდევ კარგი, რომ აშკარათ არ მიემხრნენ მაზრის უფროსს!! მაზრის უფროსი ბაუერთან წავიდა, საიდანაც ხუთი მინუტის შემდეგ დაბრუნდა და გამოაცხადა: გენერ.-გუბერნატორის სახელით ლექციას დასრულებულათ ვთვლიო. ასე დასრულდა ბ.ბ. კადეტების პირველი გასტროლი გორში.

გლეხი

## რ უ ს ე თ ი

გაზ. „პუტ“-ი კი შემდეგ ცნობას იძლევა ს.-დ. სიეზდის შესახებ: სიეზდმა იმედი გაამართლა. ფრაქციები შეერთდენ და მუშაობაც ძალიან ვაიარათიანი იყო. სიეზდის დაწყებისას ყველას ეშინოდა ხელახალი განხეთქილების პარტიის სხვა და სხვა მიმდინარეობათა შორის. მარა ეს შიში არ გამართლდა. უმთავრესი ალაგი რაოდენობის და იდეური მხრითაც მეუმცირესეებმა დაიჭირეს. ამათ საფუძვლიანი სალიტერატურო ძალები წამოაყენეს სიეზდზე.

თითქმის ყველა უმთავრეს კითხვებში მეუმცირესეების რეზოლიუციები გავიდა. ბოიკოტის ტაქტიკა შეცდარ ტაქტიკათ იქნა აღიარებული. გადაწყვიტეს, მოაწყონ განსაკუთრებული საპარლამენტო ფრაქცია რ. ს.-დ. მ. პარტიისა იმ 12 ს.-დ. დეპუტატთაგან, რომელნიც დუმაში არიან. ამ ფრაქციაში უნდა ეცადონ და თავისკენ გადაიბირონ ის დეპუტატები, რომელნიც პარტიის გარეშე ითვლებიან, მარა სოციალდემოკრატიულ პროგრამის მინიმუმზე უარს არ იტყვიან.

აგრარულ პროგრამათ მიღებულ იქნა მასლოვის მიერ შედგენილი პროექტი, კაუცკის მიერ მოწონებული, პლეხანოვის დამატებით.

ფრიად საგულისხმიეროა ის გარემოება, რომ მეუმრავლესეებმა განაცხადეს, ჩვენ არამც და არამც არ გამოვიწვევთ განხეთქილებას და დაემორჩილებით სიეზდის ყველა გადაწყვეტილებასო. ამასთანავე ჩვენს აზრებს დავიცავთ პარტიულ მსჯელობაშიო.

გაზეთი „პუტი“ თავის მხრით დასძენს: „მეუმცირესეთა ტაქტიკა ნახევრათ ლეგალურათ გახდის პარტიას, ასე რომ მას შეეძლება აშკარა მონაწილეობა მიიღოს რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაშიო“.

ასეთია ბურჟუაზიული გაზეთების ცნობები პარტიულ სიეზდის შესახებ. ახლო მომავალში ნამდვილ ამბებსაც გავიგებთ.

**დუმის გახსნა.** პეტერბურგის პროლეტარიატი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა 27 აპრილს დუმის გახსნის დღესასწაულში. უწესოება არაფერი მომხდარა. რამდენიმე ალაგას მაგ რაზმელებთან შეტაკება იყო. ღამით ობუხოვის ქარხანასთან კაზაკებმა რამდენიმე მუშას სცემეს: აქა იქ გილაც საეჭვო პირები ცდილობდენ მუშების შეიარაღებული დემონსტრაციის გამოწვევას. სასახლე ჯარებით იყო გარს შემორტყმული. „ზიმნი დვორეც“-ში არავის არ უშვებდენ. „ტავრიდის სასახლე“-ში (დუმის შენობა) რამდენიმე ბატალიონი გვარდიელები და აუარება შეიარაღებული „გოროდოვოები“ დგანან. „ზიმნი დვორეცში არავის არ უშვებდენ. სასახლე გენერლებით და მინისტრებით იყო სავსე. სრულიად მოულოდნელათ სასახლეში შევიდა ორი უბრალოთ ჩაცმული დეპუტატი, იმათ სასახლის ლაქია გამოუგდება. დეპუტატებს და ლაქიას რაღაც უსიამოვნო ლაპარაკი მოუვიდათ და დეპუტატები სწრაფათ გაშორდენ სასახლეს. ტავრიდის სასახლეს აუარებელი ხალხი ეხვეოდა გარს.

წესიერებას ჯერ თითონ ხალხი იცავდა, მაგრამ როცა ხალხმა იმატა, გამოჩნდენ ცხენოსანი ჟანდარმები და პოლიციელები. ერთმა ახალგაზდა ქალმა რაღაც დაცინვით შენიშნა ჟანდარმის აფიცერს. აფიცერმა ცხენიდან მათრახი გადაკრა ქალს, დეპუტატების დანახვაზე ხალხი აღელვებული ყვიროდა, თითქმის კვნესოდა: ამნისტია ამნისტია გამოაცხადეთო! ეს კვნესა ისეთი ძლიერი იყო, რომ სასახლის უშველებელ კედლებშიც კი აღწევდა და თვით სასახლეშიაც კი ისმოდა.

როცა დუმის სხდომა გათავდა გამოიწვიეს ლეიბ-გვარდიის ეგერის პოლკის საპატიო ყარაული. დეპუტატების სასახლიდან გამოსვლის დროს ჟანდარმთა ორი ესკადრონი მოაყენეს სასახლეს. ჟანდარმები ცდილობდენ ხალხი გაეფანტათ, მაგრამ ხალხმა გაარღვია ჟანდარმთა რკალი და სასახლის ეზოში შეცვივდა. ერთმა დეპუტატმა ჟანდარმებს სიტყვით მიმართა და უბრძანა ხალხისთვის არ დაეშალათ ეზოში შესვლა. სასახლის წინ გამართა მიტინგი. სხვათა შორის ილაპარაკა ეკატერინოსლავის დეპუტატმა—მუშამ. მუშა დეპუტატმა სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ შიგ გულში შევუქვერით მტრის ბანაკს. თუ თქვენ არ გაგვიმაგრეთ ზურგი ჩვენ დავიღუპებით!“—ვფიცავთ რომ დაგეხმარებითო იგრიალა ხალხმა. „თუ ჩვენ დავიღუპეთ—განაგრძო მუშამ—მაშინ თქვენ უნდა ჩასჭიდოთ ხელი ჩვენ დროშას და უნდა გაანადგუროთ საზიზღარი მტერი!“ ხალხმა აღტაცებული ფიცით უპასუხა ორატორს. იქვე მყოფი აუარება სალდათები აღტაცებით უკრავდენ ტაშს ორატორს.

როცა სასახლიდან გამოდიოდენ ერთი გენერალი მიუბრუნდა გენერალიტეტს და სთქვა: „გათავდა ჩვენი ბედნიერი ხანაო“.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

1 მაისი.

**პეტერბურგი.** კრონშტადტიდან, ტვერიდან, ბელასტოკიდან, მოგილევიდან და კოვნოდან დეპეშებით იტყობინებიან, რომ იქ პირველი მაისი მშვიდობიანათ გათავდა. ყველა ფაბრიკა-ზავოდები მუშაობდენ. ტულაში ორი ქარხნის გარდა ყველა ფაბრიკებში მუშაობა იყო. საღამოზე კრემლის ბაღში შეიკრიბა 1500 კაცი. მოინდომეს მიტინგის გამართვა და სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ პოლიციამ მოახერხა მათი დაშლა ისე, რომ ძალა არ უხმარია. ყაზანში მუშებმა და მოსწავლეებმა დემონსტრაცია მოახდინეს, რომელიც პოლიციასთან შეტაკებით გათავდა. არის დაჭრილები. ცარიცინში სრული გაფიცვა იყო, საღამოზე მუშებსა და პოლიციას შეტაკება მოუვიდა. რვა დაჭრილია, მათში ერთი მძიმეთ. დაჭრილები საავათმყოფოში წაიყვანეს.

**ვარშავა.** წმინდა ჯვრის და მარშალკოვის კუთხეში ყუმბარის აფეთქების შესახებ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გვატყობინებენ: კონსტანტინოვი ყუმბარას სულ დაუფლეთია. მსროლელს გაქცევა უნდოდა და სალდათი დასჭრა, მაგრამ სალდათმა იქვე მოკლა. მძიმეთ დაჭრილია მსროლელის ამხანაგი. სამი მგზარი მომკვდარა.—დროებით გენერალ-გუბერნატორმა გაანთავისუფლა 225 ტუსაღი.

**სოხუმი.** ქალაქის ამომრჩევლათ აირჩიეს ყოფილი მასწავლებელი—კადეტი.

**ცარიცინი.** ცარიცინში მომხდარ შეტაკების შესახებ შემდეგს იტყობინებიან: ქუჩებში მუშები ჯგუფ-ჯგუფათ დადიოდენ, საღამოს შვიდ საათზე ქალაქში სიმღერით გაიარეს „ოპოლჩენცებმა“, მათ კაზაკები გადუდგა გზაში და შეტაკება მოხდა. მუშებმა, გაიგეს თუ არა ეს ამბავი თავი მოიყარეს ბაზარში. ჩქარა 4000-მდე კაცმა მოიყარა თავი, პოლიციამ წინადადება მისცა დაიშალენითო, მაგრამ ამაოთ. ჯარმა სროლა აუტეხა. დაჭრილია 8 კაცი, მათში ერთი სასიკვდილოთ. დაჭრილებში 13 წლის ბავშვი და ქალიშვილია. დაჭრილები საავათმყოფოში გაგზავნეს.

**სარაევო.** ზენიცში კერძო რკინის ქარხანაში გაიფიცინ. გაფიცულებმა სახელმწიფო ქვა-ნახშირის მაღაროების მუშები გარეკეს სამუშაოდან. ფაბრიკა-ზავოდები და სავაჭროები დაკეტილია. ხალხი ძლიერ აღელვებულია. მუშებსა და ჟანდარმებს შეტაკება მოუხდათ. მუშებმა ჟანდარმებს ქვები დაუშინეს და რევოლვერებს ესროდენ. ჟანდარმებმაც ესროლეს. მოკლულია სამი მუშა, ხუთი დაჭრილი. გაგზავნეს ორი როტა სალდათები.

2 მაისი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს სხდომა ნაშუადღევის 3 საათსა და 15 წუთზე გაიხსნა. გრაფ გეიდენმა განაცხადა შეეწყვიტათ სხდომა სანამ სეფე-სიტყვის საპასუხოთ შედგენილ ადრესს მიიღებდენ, რომელიც უკვე დაბეჭდილიაო. სათათბირომ უარყო ეს წინადადება. განსახილველათ წამოაყენეს წევრთა რწმუნებულობის განხილვის საკითხი ტრიბუნაზე ავიდა ორატორი, რომელმაც განაცხადა, რომ კომისიამ პირველადვე შეიმუშავა კამათის შეწყვეტის წეს-რიგი. რომ კამათი არ გაგრძელდეს გადასწყვიტეს მოხსენების გათავების შემდეგ განეხილათ პროექტი. კრებამ შესწყვიტეს. კრების გახსნას მთელი კაბინეტი დაესწრო გორემიკინის მეთაურობით.

**პეტერბურგი.** ყოფილი გზათა მინისტრი ნემეშაევი უმაღლესი ბრძანებით სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის უფროსათ დაინიშნა.

**პეტერბურგი.** საპასუხო ადრესის პროექტი, რომელიც სათათბიროს კომისიამ შეადგინა, იხსენიებს რა, რომ ხელმწიფის გადაწყვეტილებაა მტკიცეთ დაიცოს შეურყეველი კანონები ამბობს, რომ სათათბირო წარუდგენს მონარქს დასამტკიცებლათ ხალხის წარმომადგენლობის განმტკიცებას საარჩევნო უფლების დაკანონებით. ის ცდილობს შექმნას მკვიდრი სახელმწიფოებრივი წესწყობილება რუსეთში ყველა ერების მშვიდობიან ცხოვრების მოქალაქობრივ თავისუფლების დამყარებით. ქვეყანამ გაიგო, რომ ხალხის წყლულის განკურნება მანამდე არ შეიძლება, სანამ მთელი ქვეყნის საქმეს მთავრობის მოხელეები განაგებენ და ხალხს არავითარი მონაწილეობა არა აქვს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რომ ცხოვრების განახლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა თვით ხალხს მონაწილეობა ექნება კანონმდებლობითი უფლების განხორციელებაში და კანტროლს გაუწევს აღმასრულებელ ძალას. მხოლოდ სამინისტროს შეუძლია კეთილი განწყობილების ჩამოგდება მეფესა და ხალხს შუა. ყველა ის დაბრკოლებები, რომლებიც ხალხს და მეფეს ერთმანეთს აშორებს, უნდა თავიდან აიცილოს ხალხმა. ხალხი მხოლოდ მაშინ შეუდგება ერთგულათ მუშაობას სახელმწიფოს საკეთილდღეოთ, როცა ტახტსა და ხალხს შუა სახელმწიფო აღარ იქნება. აუცილებლათ საჭიროა ეხლავე დაკანონებულ იქნას პიროვნების ხელშეუხებლობა, თავისუფლება სინიდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების და გაფიცვის. სათათბირო შეიმუშავებს კანონს ყველა მცხოვრებლების უფლებრივ გათანასწორებისას; ის სასტიკათ უარს ყოფს სიკვდილით დასჯას, თუნდ ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით იყოს. სათათბირო მთელი ხალხის მისწრაფების გამომხატველი იქნება იმ დღეს, როცა სიკვდილით დასჯა გაუქმდება. სათათბიროს ვალია გამოსცეს ისეთი კანონები, რომლებიც მშრომელ გლეხობის მიწების საჭიროების საკაბინეტო, სახელმწიფო, სამონასტრო და კერძო მიწების გლეხებისთვის გადაცემით, შეიმუშავებს კანონს გლეხების უფლებრივ გასათანასწორებლათ, რომ დაიხსნას ისინი მონობისა და აპეკუნების თვითნებობისაგან. მუშათა კლასის დასაკმაყოფილებლათ საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს ყველა მოქირავე მუშები მრეწველობის ყოველ დარგში თავისუფლების მხრით. მიეცეთ თავისუფლება კავშირების, საჭიროა ხალხის გონებრივ განვითარებას ხელი შეუწყონ, ვეცადოთ საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის და ცალკე ერების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. რუსეთი სხვა და სხვა ერებითაა დასახლებული, მათი სულიერათ შეკავშირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ყველა მათგანის ცალ ცალკე მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულ იქნება; ქვეყანას ამნისტია სწყურია, სათათბირო ელის მონარქიდან ამნისტიას, როგორც პირველ საფუძველს მეფისა და ხალხის შეთანხმებისას.— სათათბირომ ცოტა შესწორებით მიიღო პროექტი და შეუდგა სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის განხილვას, გრაფ გეიდენმა და 50 გლეხმა მოითხოვეს განხილვა. ეს წინადადება უარყვეს მეორე დღისთვის გადაიდოთ. კრება 9 საათსა და 15 წუთს ისევ გაიხსნა. კრებაზე პირველმა ილაპარაკა ნაბოკოვმა, მან წინადადება შეიტანა ამოეშალათ პროექტიდან სიტყვა „გამოსცეს კანონები“ და შეეცვალოს „შეიმუშაოს“. მიკლაშევსკი არსებითად ეთანხმება საპასუხო ადრესს და აცხადებს, რომ მარტო ამნისტია არ კმარა, ამნისტიასთან ერთად უნდა მოვითხოვოთ იმ პირების დასჯა, რომლებმაც ხალხს ბოძებული თავისუფლება იმ დღესვე წაართვა და ქვეყანა ააოხრესო (ტაშის ცემა). როდიჩევმა სთქვა, რომ სახელმწიფო საბჭომ მეფესა და ხალხს შუა ვებერთელა კედელი აღმართაო, რომ ის დრო-გასულ ხალხისგან შესდგებაო. საჭიროა სამინისტრო ხალხის წარმომადგენლებისგან შემდგარიყო.

**პეტერბურგი.** დღეს მარტო „ვესტნიკი“ და „ნოვოე ვრემია“ გამოვიდა. უკანასკნელი იუწყება, რომ მინისტრთა საბჭომ განიხილა სათათბიროს მიერ აღძრული საკითხი ამნისტიის შესახებ და საჭიროთ სცნო, სათათბირომ ამ საკითხის შესახებ მონარქს მიმართოს, რადგან მთელი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში თითქმის ასე ხდება, გამონაკლი მხოლოდ საფრანგეთია, სადაც 1900 წლის კანონმდებლობითი წესით გაატარეს. მინისტრთა საბჭო ფიქრობს, რომ უეჭველათ სათათბირო ხელმწიფეს მიმართავს თხოვნით და უთუოთ დაკმაყოფილებულ იქნებაო. ბოლოს მინისტრები წინააღმდეგი არიან სათათბიროს დათხოვნის, თუმცა მთელი სათათბირო ოპოზიციურ ელემენტებისაგან შედგება და მთავრობის მომხრეები სულ არ არის იქო. სახელმწიფო საბჭოს წევრნი შეუდგენ ამნისტიის და სხვა და სხვა პროექტების და რეზოლიუციების განხილვას, რომლებიც ტაგანცევს, შიპოვს, ვერნადსკის, ნარიშკინს, ბაგალეევს და შიშმატოვს შეუდგენიათ. მანუხინმა და კრასოვსკიმ პირდაპირ პროექტი შეადგინეს ხელმწიფის წინაშე ამნისტიის შესახებ შუამდგომლობისა.

პეტერბურგში 500 ქარხნის 10,000 მუშა იყო გაფიცული. მიტინგების გამართვას არ უშლიდენ. დემონსტრაციების მოხდენას პოლიციამ ხელი შეუშალა. აქა-იქ მუშებსა და კაზაკ-ჟანდარმებს შუა შეტაკება მოხდა; ისროდენ ქვებს და რევოლვერებს. კოლეგნიკოვის ბამბის ქარხანაში უმცირესობამ მუშაობა დაიწყო. უმრავლესობა ურჩევდა არ ემუშავნათ, რომლის დროსაც უკანასკნელის ორატორი რევოლვერით დასჭრა გაფიცვის მოწინააღმდეგე მუშამ და დანით ერთმა ქალმა.—ადმირალტეისტვოს სახელოსნოების ეზოში გუშინ ხუთი კაცი დაიჭირეს, რომლებსაც არავითარი ნიშნები არ ქონიათ იქ ჩასვლის. ეჭვი აქვთ, რომ დაჭერილებში კომენდანტის მკვლელი ურევია.—გაპონის გვამი გუშინ გასჭრეს. შედეგს არ ამჟღავნებენ. აშკარაა, რომ ის „დაჩაზე“ გაიტყუეს და ჩამოახრჩეს. სამოსამართლო პალატამ იოვან ბერგის, რომელსაც სალდათებში პროპაგანდის გაწევას აბრალებდენ, 4 თვის ციხე გადაუწყვიტა. გლეხთ მოროზოვს და მატვეევს უმაღლესი მთავრობის სიტყვით შეურაცყოფისათვის 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

### „ლამპარი“-ს ფოსტა.

არ დაიბეჭდება შემდეგი წერილები: „მოლოდინში“; „სამი გზა კაცობრიობისაკენ“; ლექსები: „დრო დადგება მტარვალებო“; „სოფლის მუშას“; „გლეხის აღსარება“; „განთიადი“; „ღამის ფიქრები“.

ძმაო „ცორინე“, პროლეტარიატი ჯერ თეორიულათ იმდენათ არ განვითარებულა, რომ თქვენ ნაწარმოებს თავი და ბოლო გაართვას.

ვინა ვარს: „ყვავს“ ჯერ-ჯერობით ეყოფა...

შ-ასო ხარიტონაშვილს: გაზეთი გეგზავნებათ.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## ახალი წიგნები

ქუთაისში წიგნის მაღაზიამ და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდამ“ მიიღო მრავალი სადღეისო წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე დაბეჭდილი.

საყმაწვილო ჟურნალი

# ნაკადული

სურათებით.

წელიწადი მეორე. წელიწადიათვლება პირველ იანვრიდან იანვრამდე.

**ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.

რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—სამ-სამი მანეთი. ნახევარის წლით: ერთათ—3 მან. 50 კაპ., ცალკ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში კ., ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კ. წლიურ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათათ.

პირობებზე მოსალაპარაკებლათ რედაქცია დაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: თფილისი ჟურნალ „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი მარიამ იოანეს ასული დემურიასი. გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.